# საარბიტრო

სპორტული გაზეთი შაბათი 23 დეკემბერი 2006 №297 (2919) ფასი 50 თეთრი




## დინამოს სათადარიგო ვარიანტი: კორინთიანსი

ბუბა ტყავაძე ბრაზილიაშდე ანთალიას ელის 2



## ტოპმიოლერის ფული პროექტშია 3



## ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე...

ინტერვიუ შალვა კაკაბაძესთან 4

# სეოკეთესოები

## ოლიმპიურმა კომიტეტმა თორმეტი თვე შეკრიბა

გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში სეოკ-ის ტრადიციული საანგარიშო სესია შედგა და ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენებიც დასახელდნენ. სეოკ-ის რჩეულნი ძიუდოისტი ზაზა კედელაშვილი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე დავით ბედინაძე არიან. ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი ზამთრის სპორტის სახეობებში საუკეთესოდ აღიარეს, ხოლო წლის მწვრთნელად ბედინაძის აღმზრდელი ვაჟა კრავეიშვილი დასახელდა



წლის საუკეთესო სპორტსმენები: ზაზა კედელაშვილი, ელენე გედევანიშვილი და დავით ბედინაძე

# მშვიდობის ელჩი



# დინამოს სათადარიგო ვარიანტი: კორინთიანსი

## ბუბა ტყავაძე ბრაზილიამდე ანთალიას ელის



თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას სამშაბათს დილმის ბაზაზე განაახლებს. გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბება და მათ შორის ერთი ახალი ფეხბურთელიც იქნება — სამიოდ დღის წინ „ვიტ ჯორჯიადან“ დამატებული 26 წლის ნახევარმცველი დავით დილმელაშვილი. „დინამო“ 2 იანვარს ბაკურიანში გაემგზავრება და ოთხი დღე ფიზიკური კონდიციების აღდგენას ეცდება. 10 იანვარს კი დუშან უჰრინი სამწყსოს ანთალიაში წაიყვანს. ხოლო შემდეგ შეკრებას „დინამო“ ისევ ანთალიაში 27 იანვრიდან დაიწყებს. ამ ამბებში ახალი არაფერია. ახალი გუშინ შევიტყვეთ და გადასამოწმებლად კლუბის მმართველ დირექტორს ბუბა ტყავაძეს დავუკავშირდით...

— გავიგეთ, რომ უახლოეს მომავალში ბრაზილიაში, ახალი ფეხბურთელების ჩამოსაყვანად მიდიხართ...

— მართალია, ბრაზილიის ვიზა უკვე მივიღე, მაგრამ თქმა, რომ ბრაზილიაში ნაღდად მივდივარ, ჯერ არ შემიძლია. „დინამოს“ პარტნიორული ხელშეკრულება აქვს სახელოვან „კორინთიანსთან“ და თუ ბრაზილიაში წავედი, სწორედ ამ კლუბის ფეხბურთელებთან ვეცდები მოლაპარაკებას.

— ვიზა მიიღეთ, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, წახვალთ თუ არა ბრაზილიაში. რა შემთხვევაში შეიძლება, წახვიდეთ და რა შემთხვევაში — არა?

— ამ ეტაპზე „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელთან აქვს მოლაპარაკება და თუ ეს საქმე წარმატებით დასრულდა, ბრაზილიაში აღარ წავალ. ხოლო თუ მოლაპარაკებები ჩაიშალა, „კორინთიანსს“ მერე მივაშურებ. ასე ვთქვათ, ბრაზილია სათადარიგო ვარიანტია.

— როდის გავიგებთ, ფეხბურთელებთან მოლაპარაკება როგორ დასრულდა?

— მაგალითად, ავსტრალიელი ნედ ზელიჩი, რომელიც თბილისში ორიოდ დღით უკვე იყო, პირველ ანთალიურ შეკრებაზე შემოგვიერთდება და მას მწვრთნელი იქ უკეთ დააკვირდება...

— ზელიჩის გარდა კიდევ რამდენ ფეხბურთელთან გაქვთ მოლაპარაკება?

— ჯერჯერობით ორთან, მაგრამ შესაძლოა, მათი რაოდენობა გაიზარდოს.

— ეს ორი ფეხბურთელი ევროპელია?

— დიახ.

— რა პოზიციაზე თამაშობენ?

— ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვჭირდება, რომლებიც გუნდს გააძლიერებენ. ადრევე ვთქვით, რომ ყველა პოზიციის მოთამაშე გვჭირდებოდა.

— ამ ორ ფეხბურთელს როდისთვის ელით?

— შესაძლოა, ეს ფეხბურთელები თბილისში ანთალიურ შეკრებამდეც ჩამოვიდნენ და თურქეთში გუნდთან ერთად წავიდნენ.

— თუ ეს საქმე ჩაიშალა, მაშინ ბრაზილიაში როდის წახვალთ?

— ალბათ მეორე ანთალიური შეკრების პერიოდში, თუმცა ერთხელაც ვიტყვი, ბრაზილიურ „კორინთიანსში“ წასვლა სათადარიგო ვარიანტია.

**კობა ინასარიძე**



# ტოპმიოლერის ფული პროექტშია

გუშინდელ „სარბიელში“ ხელისუფლების ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აკაკი ასათიანმა განაცხადა, ხელისუფლება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ჯამაგარისთვის საჭირო თანხას მალე ველარ გადაიხდისო. ასათიანის ამ განცხადებაზე კომენტარი ხელისუფლების წარმომადგენელს, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელ დავით ნამგალაურს ვთხოვეთ...

— ხელისუფლება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ტოპმიოლერისთვის ხელფასის გადახდაში მართლაც ეხმარება, თუმც ხელისუფლება მთლიანად კი არ ფარავს ამ თანხას, არამედ ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად. ხელისუფლება მანამდე აპირებს მწვრთნელის ხელფასისთვის თანხის გადახდას, სანამ ფეხბურთის ფედერაცია ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

— ამ თანხის რამდენ პროცენტს იხდის ხელისუფლება?

— ამას ახლა ზუსტად ვერ გეტყვით.

— ტოპმიოლერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან 2+2-წლიანი კონტრაქტი აქვს — ხელისუფლება მზად არის, კონტრაქტის ვადის სრულად ამოქმედების შემთხვევაშიც იხადოს ფული ნაკრების მწვრთნელისთვის?

— 2007 წლის ბიუჯეტის პროექტში ეს თანხა შესულია, რაც პარლამენტმა უნდა განიხილოს. რაც შეეხება 2008 წელს... თუ ფედერაციას კვლავ დასჭირდება ასეთი დახმარება და არჩეული კურსის სისწორე გამოჩნდება, ხელისუფლება ყველანაირად გვერდში დაუდგება ქართულ ფეხბურთს. ვფიქრობთ, სწორი გზის არჩევაში უმთავრესი ნიუანსი თავად ტოპმიოლერია.

**დავით თავართქილაძე**

# იაშვილი ფრაიზე




ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგმა“ მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე პირწმინდად ჩააგდო — გუნდი, რომელიც პირველ ბუნდესლიგასაა შეჩვეული, ლამის რეგიონალლიგის პირასაა.

იაშვილი გუშინ ჩამოვიდა თბილისში. მას ოთარ ხიზანეიშვილის უთამაშებლობაზე და ფოლკერ ფინკეს „ფრაიდან“ შესაძლო წასვლაზეც ვკითხეთ.

„არასტაბილურობის ბრალია ასეთი შედეგი. რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელი გვყავს. გერმანიაში ყველა აღნიშნავს, რომ ნაჩვენები თამაშის მიხედვით, „ფრაიბურგი“ უფრო მაღლა უნდა იდგეს სატურნირო ცხრილში, მაგრამ ასე მეორდება და მეორდება. ისე, „კარლსრუეს“ თუ არ ჩავთვლით, თითქმის ყველა მოწინავე გუნდს ტოლსწორად ვეთამაშეთ, ზოგს მოვუგეთ კიდეც, მაგრამ სუსტებთან ვაგებდით“.

„აკუნამ“ გვითხრა, ფოლკერ ფინკეს „ფრაის“ თავკაცობიდან წასვლაზე კი ალაპარაკდნენ, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არაფერიაო. „გააჩნია, როგორ ჩავატარებთ მეორე წრეს. ფინკესაც არ უთქვამს, სეზონის მერე მივდივარო“.

რაც შეეხება ოთარ ხიზანეიშვილის არყოფნას: „ოთარს ფეხი სტკიოდა და ბოლო სამი მატჩიც ამიტომ გამოტოვა, ამ სეზონში ძალიან დაითარსა, ვერ აეწყო თამაში“.

იაშვილი და „ფრაიბურგი“ უკვე განუყოფელ ნაწილად იქცნენ და ალბათ „დრაიზამშტადიონს“ ჩვენიანი ფორვარდის გარეშე გუნდი ვერ წარმოუდგენია. თუმც „აკუნას“ ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება და...

„კონტრაქტი მეწურება, მაგრამ ჯერ არც გახანგრძლივებაზეა ლაპარაკი და არც სხვაგან წასვლაზე. ჯერ „ფრაიბურგის“ ფეხბურთელი ვარ“.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბლექბერნი ისევ უქართველოდაა

**დღეს** ინგლისურ პრემიერლიგაში „არსენალი“ — „ბლექბერნია“ და იყო იმის ალბათობა, რომ საზარდულმტკივანი ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონელებთან მატჩისთვის მზადყოფნაში იქნებოდა, მაგრამ...

— უკვე სამი დღეა, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ „ბლექბერნს“ ლონდონში მაინც ვერ გავყევი, რადგან მარჯვენა საზარდული ცოტათი კიდევ მაწუხებს, 26 დეკემბერს კი „ლივერპულს“ ვხვდებით და ალბათ ვითამაშებ — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა.

**ნიკა ჯორჯაძე**

### ინგლისი

| |
|---|
| ჩემპიონატი. XXIV ტური |
| კრ. პალასი 1:0 სანდერლენდი |
| I ლიგა. XXIII ტური |
| მილუოლი 0:1 სკანთორპი |
| II ლიგა. XXIII ტური |
| გრიმსბი 2:0 ტორკი |
| მენსფილდი — ჩესტერი გადაიდო |
| ნოტსი 0:1 ჰერეფორდი |
| შრიუსბერი 0:1 ბარნეტი |

### იტალია

| |
|---|
| სერია B. XVIII ტური |
| ალბინოლეფე 0:0 პესკარა |
| ბრეშა 1:1 ბოლონია |
| კროტონე — ტრიესტინა გადაიდო |
| ჯენოა 0:0 ბარი |
| იუვენტუსი 2:2 არეცო |
| ლეჩე 1:2 ვიჩენცა |
| მოდენა 0:0 ნაპოლი |
| პიაჩენცა 4:0 ჩეზენა |
| რიმინი 2:1 სპეცია |
| ტრევიზო 3:0 ფროზინონე |
| ვერონა 0:3 მანტოვა |
| სერია C1/A. XVII ტური |
| ლუკეზე 1:0 პისტოიეზე |

### საფრანგეთი

| |
|---|
| I დივიზიონი. XIX ტური |
| მარსელი 2:1 სენტ ეტიენი |
| II დივიზიონი. XX ტური |
| აიაჩო 0:0 გენგამი |
| კაენი 3:2 დიჟონი |
| კრეტეი 4:3 ტურსი |
| გრენობლი 4:1 ნიორი |
| გენიონი 3:0 მონპელიე |
| ისტრი 0:0 მეცი |
| ლე ავრი 1:0 შატორუ |
| ლიბურნი 3:2 ბრესტი |

### ჰოლანდია

| |
|---|
| ერედივიზიონი. XVIII ტური |
| ჰერაკლესი 0:1 გრონინგენი |
| II დივიზიონი. XXII ტური |
| გრააფსხაპი 6:1 ალმერე |
| ემენი 3:3 ზვოლე |
| ეინდჰოვენი 2:1 ტელსტარი |
| ვოლენდამი 1:3 დორდრეხტი |
| სიტარდი 0:1 ჰელმონდი |
| იგლსი 1:0 კამბური |
| ჰაარლემი 2:0 ვეენდამი |
| ოსი 3:0 მაასტრიხტი |
| ვენლო 0:0 აპელდორნი |

# ვიტ ჯორჯია ზამთარს ორშაბათს დაგეგმავს

## უკაპიტნო გუნდიდან არავინ წასულა



ლიდერის გუნდიდან წასვლამ „ვიტ ჯორჯიას“ თავკაც ნესტორ მუმლაძეს საფიქრალი გაუჩინა

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ ჯერ ისევ შვებულებაშია. ვეტერინარებმა პირველი წრე მეორე ადგილზე ჩაამთავრეს და ჩემპიონობაზე ფიქრობენ, თუმცა მეორე წრეში ალბათ გაუჭირდებათ — გუნდი ხომ ლიდერმა და კაპიტანმა დავით დილმელაშვილმა დატოვა.

სხვა ცვლილება ჯერჯერობით არ მომხდარა. ორშაბათს კი გუნდის ხელმძღვანელობა შეიკრიბება და სამომავლო მიზნებს დასახავს. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ „ვიტ ჯორჯია“ მზადების პირველ ეტაპს ახალი წლის დასაწყისში თბილისში გაივლის. ორკვირიან ვარჯიშს ხანმოკლე პაუზა მოჰყვება, იანვრის ბოლოს კი ვიტელები თექვსმეტი დღით ანთალიაში გაემგზავრებიან, სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩს გეგმავენ. როგორც „ვიტ ჯორჯიას“ პრესსამსახურის უფროსმა დავით ერაძემ გვითხრა, შემადგენლობაში შესაძლო ცვლილებებიც სწორედ ამ პერიოდში იგეგმება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# თეთრაძე და ცხადაძე ახლა არ გამოვიდა

**საქართველოში** დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძე მახაჩყალის „ანჟის“ თავკაცად რომ ინიშნება, რამდენიმე დღის წინ გამცნეთ.

მართალია, მხარეებს შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა, როგორც თეთრაძემ „სპორტ-ექსპრესს“ განუცხადა, ეს დროის ამბავია.

მოკლედ, „ანჟის“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და რუს ჟურნალისტებსაც უმალ კახა ცხადაძე გაახსენდათ, ომარის ძველი მეგობარი.

აპირებთ, თუ არა „ანჟიში“ თანაშემწედ კახა ცხადაძის მოწვევას? — ჟურნალისტის ამ კითხვას თეთრაძემ მოკლედ უპასუხა — კახა ახლა თბილისშია, „ანჟის“ სამწვრთნელო შტაბი კი უკვე დაკომპლექტებულია.

ისე, შესაძლოა, ახლა არა, მაგრამ მომავალში თეთრაძემ მართლაც შესთავაზოს სამსახური ბოლნისის „სიონის“ თავკაცს. ვნახოთ...

**კახა შალამბერიძე**

# როდის მიადგება აფრიკა ფეროს?

## ჩასემის პრემიერლიგა გია გურულმაც გაიგო



ჩამოვა თუ არა აფრიკული სამეული „ზესტაფონში“? ფეროულ კლუბში ერთი გაბონელი და ორი კამერუნელი ფეხბურთელის ჩასვლაზე საუბარი რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ეს გია გურულის თაოსნობით ხდება. აქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის ყოფილ თანაშემწეს გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით...

— „ზესტაფონის“ მწვრთნელი თემურ მახარაძე შემეხმიანა, კარგი თავდამსხმელი მჭირდება, დაახლოებით ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ჩასემის მანერისაო.

— როგორც ვიცით, სამ ფეხბურთელზეა ლაპარაკი. იქნებ კონკრეტულად გვითხრა მათზე...

— ერთი გაბონის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველია, მის თაობაზე დახმარება ალენ ჟირესს ვთხოვე. რაც შეეხება კამერუნელებს, ისინი თავდამსხმელები არიან და ახალგაზრდულ ნაკრებში აქვთ ნათამაშები — ახლა კამერუნის ჩემპიონატში ბურთაობენ.

— კონკრეტულად როდის ჩავლენ ისინი „ზესტაფონში“?

— არ ვიცი. „ზესტაფონს“ პასუხი არ შემოუთვლია და საქმე ჯერ არაა დაძრული.

— სხვა ქართულ კლუბებს ხომ არ მოუმართავთ თქვენთვის მოთამაშეების ჩამოყვანის სურვილით?

— არა.

— ჩასემი ახსენეთ და, როგორც „სიონის“ ხელმძღვანელობისგან გავიგეთ, მისით რუსული პრემიერლიგის გუნდები ყოფილან დაინტერესებულნი...

— ჩასემს და „სიონის“ დანარჩენ ორ კამერუნელსაც 2+1-წლიანი კონტრაქტი აქვთ და რამდენად იოლად მოხერხდება მათი გაშვება, ვერ გეტყვით. ისე, ჩასემით მართლაც არიან დაინტერესებულნი, ოღონდ ეს გაკვრით, ჭორების დონეზე ვიცი — პრემიერლიგის და რუსეთის პირველი ლიგის გუნდებზე გავიგე. ჩასემის ამბავი მოსკოვში, „თანამეგობრობის“ თასზე გაირკვევა.

*რაც შეეხება „ზესტაფონს“, იმერლები აფრიკელი ლეგიონერებით გაძლიერების სურვილს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ. ამასთან კლუბმა გამორიცხა, თითქოს ბექა გოცირიძეს ნალჩიკის „სპარტაკში“ უშვებდეს.*

*„სატრანსფერო ამბებში მართლაც სერიოზულად ვართ ჩართულნი. რამდენიმე პოზიციაზე გვჭირდება ფეხბურთელი, მაგრამ კონკრეტული გვარების დასახელებას მოვერიდებით“ — გვითხრა „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ.*

**ილია ნანოგაშვილი**

# მოდული და საშობაო თასი

**17 დეკემბერს** დაიწყო და 25-ში დასრულდება სამშენებლო კომპანია „მოდულის“ საშობაო ტურნირი ფეხბურთში 1993 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირი 35-ე საფეხბურთო სკოლის სტადიონზე ტარდება და მასში თორმეტი გუნდი მონაწილეობს — „ავაზა“ (მწვრთნელი ანზორ ზუკაკიშვილი), „აკადემია 93“ (ზაზა ცინარიძე), „გაგრა“ (პაატა გოცირიძე), „გორი“ (გიორგი ტულუში), „დინამო“ (თამაზ კოსტავა), „მეტეხი“ (გუბაზ დოლიძე), „მემორიალი“ (გივი ბაბუნიძე), „ოლიმპი“ (თემურ ფოცხვერია), „ოლიმპიკი“ (გოგი ციკოლია), „ორბი“ (გოჩა ავსაჯანიშვილი), „საბურთალო“ (ლევან ყუფარაძე), „სკალდი“ (გია ჩიტაური).

ჯგუფური ეტაპის შემდეგ მეოთხედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „დინამო“ — „ორბი“, „ოლიმპიკი“ — „აკადემია“, „ოლიმპი“ — „გაგრა“, „ავაზა“ — „საბურთალო“.

ნახევარფინალი გაიმართება 24 დეკემბერს, მე-3 ადგილისთვის მატჩი და ფინალი კი 25 დეკემბერს.

ტურნირის ბოლოს ორგანიზატორები საუკეთესო ფეხბურთელს, მეკარეს, მცველს, ნახევარმცველს და თავდამსხმელს დააჯილდოვებენ.

**კახა შალამბერიძე**



# ლევან ყენია ლევანტეს შობამდე ჩააკითხავს



**16 წლის** ლევან ყენიას ესპანურ „ლევანტეში“ გადაბარგება გადაწყვეტილი ამბავი რომ არის, ახალი არაფერი გვითქვამს. საინტერესო ის იყო, როდის წავიდოდა ლევანი ესპანეთში. ჩვენც გუშინ დავუკავშირდით საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებების შემტევს, რომელიც შეუძლოდ ყოფილა — სიცხე აქვს.

ყენიამ გვითხრა, 5 იანვარს მშობლებთან ერთად ჩავდივარ „ლევანტეში“ და „ლევანტეს“ მეორე გუნდის შემადგენლობაში ტურნირში უნდა ვითამაშოო.

**ილია ნანოგაშვილი**

შალვა კაკაბაძე დაიბადა 1936 წლის 17 დეკემბერს ქალაქ ხონში.
სწავლობდა და ვარჯიშობდა 35-ე სკოლაში, სადაც მწვრთნელებად მუშაობდნენ გაიოზ ჯეჯელავა, არჩილ კიკნაძე, მიხეილ ბერძენიშვილი, ოტია ჟორდანია, ჯონდო შავდია, დუკა რამიშვილი, შოთა მერკვილაძე, ვალოდია გვარჯალაძე და სხვები.
ამ სკოლაში მისი თანაგუნდელები იყვნენ მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, ამირან შუბლაძე, ტუტიკო ელოშვილი, აჩიკო ბითაძე, ნოდარ შიოლაშვილი...
კაკაბაძე იყო 35-ე საფეხბურთო სკოლის პირველი გუნდის კაპიტანი, რომელმაც 1954 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთა პირველობაზე იმარჯვა.
1957 წელს შალვა კაკაბაძე ჩაირიცხა ლანჩხუთის „გურიაში". ტრავმის გამო 22 წლის ასაკში დაასრულა ფეხბურთელის კარიერა და 1958 წელს გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა.
მისი ხელმძღვანელობით „გურიამ" 1961, 66 და 71 წლებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და ორჯერ გახდა თასის მფლობელი.
1972 წლიდან „გურია" საკავშირო ჩემპიონატებში მონაწილეობდა: 1979 წელს გაიმარჯვა სსრკ-ს ჩემპიონატის „ა" კლასის მეორე ლიგის IV ზონაში და მიიღო პირველი ლიგის საგზური, ხოლო 1986 წელს „გურიამ" სასწაული მოახდინა — უმაღლეს ლიგაში გადავიდა...
ლანჩხუთში შალვა კაკაბაძის დროს აღიზარდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც შემდეგ თბილისის „დინამოში", ქუთაისის „ტორპედოში" და სხვა გუნდებში ჩაირიცხნენ. ესენი არიან: ლევან ჟორდანია, რამაზ ურუშაძე, ზორბეგ ებრალიძე, გია თავაძე, თემურ ჩხაიძე, ოთარ კორღალიძე, გია იმნაძე, ვახტანგ ძიძიგური, როსტისლავ ანდღულაძე, მერაბ მეგრელაძე, ჯ. ურუშაძე და სხვები.
ჯერ კიდევ 1966 წელს, 30 წლის ასაკში შალვა კაკაბაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.
1998-2003 წლებში კაკაბაძე თბილისის „ლოკომოტივის" გუნდის უფროსად და კლუბის პრეზიდენტის მრჩევლად მუშაობდა.
ამჟამად კი საფეხბურთო კლუბ „გაგრაში" საქმიანობს...



# ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე... გარითმული სტრიქონები და ოცდახუთი წელი გურიაში

**საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში ერთადერთმა სოფლის გუნდმა მოახერხა თამაში — ლანჩხუთის „გურიამ"...**
**ლანჩხუთელები უმაღლეს ლიგაში პირველად 1986 წელს გადავიდნენ და მაშინდელი წარმატების სულისჩამდგმელები ევგრაფი შევარდნაძე და შალვა კაკაბაძე გახლდნენ...**
**ამ რამდენიმე დღის წინ შალვა კაკაბაძეს 70 წელი შეუსრულდა. ის 1957 წელს მივიდა „გურიაში" ფეხბურთელად და 1958 წლიდან ამ გუნდის მწვრთნელობას შეუდგა. მისი მწვრთნელობისას „გურია" სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი და ორჯერ თასის მფლობელი, 1979 წელს კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგაში გადავიდა. მას შემდეგ გუნდს რამდენჯერმე გამოეცვალა მთავარი მწვრთნელი, კაკაბაძე ამ პოსტზე 1983 წელს დაბრუნდა და დიდად დაეხმარა გუნდს 1986 წლის ტრიუმფისთვის...**

— გუნდის მიღწევების გარდა ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლანჩხუთის „გურიადან" თბილისის „დინამოში" არცთუ ცოტა ფეხბურთელი წავიდა — ილია დათუნაშვილი, ზორბეგ ებრალიძე, გია თავაძე, გიგლა იმნაძე, ოთარ კორღალიძე, თემურ ჩხაიძე...

**— და „გურია" როგორ აწარმოებდა ფეხბურთელების სელექციას?**

— ვინც ვერ მოხვდებოდა თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოში", იმათ ჩვენთან ვიწვევდით. ამ საქმეშიც დიდად ეხმარებოდა გუნდს ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ევგრაფი შევარდნაძე და საერთოდ, რაც „გურიაში" ხდებოდა, ყველაფერს ის ედგა სათავეში. თუმც გუნდს წარმატებას მხოლოდ ერთი და ორი კაცი ვერ მოუტანდა. ლანჩხუთის მოსახლეობა, მშრომელი ხალხიც გვერდში გვედგა, ოცმანეთიან აბონემენტებსაც ყიდულობდნენ და მაგრადაც გვგულშემატკივრობდნენ, ხოლო, როცა „გურია" პირველ ლიგაში გადავიდა, უკვე მთელი დასავლეთ საქართველოდან ჩამოდიოდა ხალხი „გურიას" საქომაგოდ. უნდა ავღნიშნო ლანჩხუთის რაიონის პირველი მდივნის დავით საბაშვილის დიდი დამსახურებაც. „გურიამ" ჯერ 60-იან წლებში ასახელა რაიონი — გუნდი საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში რომ გადავიდა, რუკაზე ახალი წერტილი გაჩნდა — მოსკოვი-ბათუმის მატარებელი ლანჩხუთში მანამდე არ ჩერდებოდა, მაგრამ „გურია" მეორე ლიგაში რომ გადავიდა, ეს მატარებლები ლანჩხუთშიც გაჩერდა.

**— სტადიონი როგორ აშენდა ლანჩხუთში?**

— გუნდი პირველ ლიგაში რომ გადავიდა, მოთხოვნა იყო — სტადიონზე, სულ ცოტა, 15 ათასი კაცი უნდა დატეულიყო. ჰოდა, აშენდა სტადიონი, რომელიც 30 ათასს იტევდა. მალევე დაიწყო გუნდის ბაზის მშენებლობა გრიგოლეთში, რაც 1986 წელს დასრულდა.

**— ფეხბურთი მაშინ საქართველოს არა ერთ რეგიონში იყო პოპულარული, თუმც პერიფერიებიდან მხოლოდ ლანჩხუთმა მოახერხა გუნდის გადაყვანა უმაღლეს ლიგაში...**

— ყველა რაიონს კი არა, მაშინ ყველა კოლმეურნეობას ჰყავდა საფეხბურთო გუნდი, მაგრამ ჩვენ ყველას ვაჯობეთ — ლანჩხუთში საკუთარი რაიონის პატრიოტიზმი და ერთსულოვნება იყო. ჩაის კრეფა და ფეხბურთი — ამის გარდა ლანჩხუთში, ფაქტობრივად, არაფერი ხდებოდა. მეც მთლიანად გუნდზე ვიყავი გადართული, რის გამოც ლანჩხუთის სასტუმროს 21-ე ნომერში თითქმის 25 წელი მაქვს გატარებული. ახლა კი თქვენც კარგად იცით, რომ ფეხბურთი ლანჩხუთში უპატრონოდაა მიტოვებული, ბავშვთა ფეხბურთშიც ენთუზიაზმით მუშაობენ...

**— თქვენ კი ისევ ფეხბურთში ხართ...**

— პირველ ლიგის „გაგრაში" გუნდის უფროსი ვარ. „გაგრის" პრეზიდენტია ბესო ჩიხრაძე, ვიცე-პრეზიდენტი გოდერძი ჩიხრაძე, ტექნიკური დირექტორი გია გეგუჩაძე, მწვრთნელი თამაზ სამხარაძე, გუნდს აქვს ბაზა და ორი მოედანი მუხრანში — ერთი სიტყვით, „გაგრაში" ყველა პირობაა, კარგი ფეხბურთელები რომ გაიზარდონ.

**— „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, შევარდნაძე-კაკაბაძე" — თქვენ მიერ გამოთქმულ ამ ცნობილ სტრიქონებს რა ისტორია აქვს?**

— „გურია" პირველ ლიგაში რომ გადავიდა, ტელევიზიაში მიმიწვიეს და იქიდან რესტორან „ივერიაში" წავედი, სადაც ილია დათუნაშვილი და სხვა მეგობრები მელოდნენ. „გურიას" სადღეგრძელოს რომ ვსვამდი, სკამზე ავედი და ეს სტრიქონები წარმოვთქვი. შევარდნაძეში, რა თქმა უნდა, ევგრაფს ვგულისხმობდი, თუმც, როცა ლანჩხუთში დავბრუნდი, ევგრაფი შევარდნაძემ მირჩია, ეს აღარ თქვა, თორემ თავს დაილუპავო...

**დავით თავართქილაძე**

# ახალი სახელი: ვისოლი
## ტორპედო პროცენტებს ახალ წლამდე გადაანაწილებს

**კიდევ** ერთი ხმაურიანი ამბავი ქუთაისის „ტორპედოდან": გუშინ გავრცელებული ხმებით, „ტორპედოს" აქციათა 60 პროცენტის მფლობელი კომპანია „ვისოლი" გახდება.

კლუბის სხვა სავარაუდო მფლობელთა შორის ნავთობის ბიზნესის მქონე ეს კომპანია დღემდე არ დასახელებულა, ამიტომ „ვისოლის" გამოჩენა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც კია. ასევე კულუარული ინფორმაციით კი, „ვისოლთან" ერთად კლუბის აქციების დარჩენილ 40 პროცენტს სათამაშო ბიზნესის მქონე კომპანია „სამი ტუზი" შეიძენს.

ეს ყველაფერი ჯერჯერობით ვარაუდია, თავად „ტორპედოში" ამ ფაქტს არ ადასტურებენ და, როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა გოგა მანდელმა გვითხრა, ყველაფერი უახლოეს დღეში გაირკვევა...

„კლუბის მეპატრონის ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის. მალე საბუთების შეგროვება და ოფიციალურად გადაფორმება უნდა მოხდეს. წესით, ყველაფერი ახალ წლამდე გაირკვევა. ვინ იქნება კლუბის მეპატრონე, ან როგორ გადანაწილდება პროცენტულად სააქციო პაკეტები, ჯერჯერობით უცნობია" — გვითხრა მინდელმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



გიორგი კიკნაძე და „ტორპედო" ახალ პატრონს ელიან


ნედვედი და ტრეზეგე

# დეშანი: რა ჩემი ბრალია მსაჯი? იუვემ ნედვედი მეორედ წააგო

**ტურინის** „იუვენტუსმა" პაველ ნედვედის ხუთმატჩიან დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებული მეორე აპელაციაც წააგო. ასე რომ, თავდაპირველი გადაწყვეტილება ძალაში რჩება. შესაბამისად, ნედვედმა გამოტოვა „არეცოსთან" გუშინდელი მატჩი და „ბებერი ქალბატონის" მორიგ ორ შეხვედრაშიც არ ითამაშებს, რითაც ამ დისკვალიფიკაციას მოიხდის კიდეც.

შეგახსენებთ, 1 დეკემბერს „ჯენოასთან" მატჩის დამატებით დროში ნედვედმა ძალიან საეჭვო ეპიზოდში მიიღო მეორე ყვითელი ბარათი, რის გამოც გაბრაზდა, პროტესტი ემოციურად გამოხატა და მსაჯ სტეფანო ფარინას მიეჭრა. არბიტრის მოხსენებაში წერია ჩეხმა ფეხზე დამაბიჯაო, რაც ნედვედმა უარყო. თუმცა დისციპლინარული კომიტეტი და საარბიტრაჟო სასამართლო შეუვალნი იყვნენ.

როგორც იცით, ხმაური მოჰყვა სამშაბათს გამართულ „ბოლონია" — „იუვენტუსის" მატჩსაც. მსაჯმა დომენიკო მესინამ მარსელო ძალაიეტას შეცდომით ჩაუთვალა გოლი, რომლის წყალობითაც ტურინელებმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს. „როსობლუს" ფეხბურთელები და ხელმძღვანელები კი განრისხდნენ. ამ ფაქტს უკვე ბევრი გამოხმაურება მოჰყვა და „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა დიდიე დეშანმა კიდევ ერთი კომენტარი გააკეთა.

„ასეთ რალაცეებზე ჩვენ პასუხისმგებლობას ნამდვილად ვერ ავიღებთ და არც არავინ არ უნდა დაგვაკისროს იგი. ჩვენი ბრალი არ არის, რომ მსაჯი შეცდა. იგი თავის საქმეს აკეთებდა, ჩვენ კი ჩვენსას. ფეხბურთელები ცდებიან ხოლმე, მეც ვცდები და არბიტრებსაც აქვთ ამის უფლება, მაგრამ ამიტომ, „იუვენტუსი" დამნაშავე არ არის. ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთში ასეთი შემთხვევები ხშირია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ახლა ისედაც რთული პერიოდი გვიდგას, ორი ახალგაზრდა მოთამაშე დავკარგეთ და სევდიანი განწყობა დიდ ხანს გაგვყვება. სავარჯიშოდ კვლავ ვინოვოში დავბრუნდით, სადაც ეს ტრაგედია მოხდა და იქ ბურთის გორება ადვილი არ არის. თუმცა ეს ჩვენი სავარჯიშო ბაზაა და ვერაფერს გავხდებით" — აღნიშნა ფრანგმა სპეციალისტმა.

დაიმატებს თუ არა „იუვენტუსი" იანვარში ვინმეს ეს ჯერ უცნობია. აი, მის რამდენიმე ფეხბურთელს მრავალი მსურველი რომ ეყოლება, ამას წყალი არ გაუვა. მიუხედავად „ბიანკონერის" სერია B-ში დაქვეითებისა, გუნდში არაერთი ვარსკვლავი დარჩა. ერთ-ერთი მათგანი დავიდ ტრეზეგეა, მისი მსურველთაგანი კი „ლიონი", რომლის მწვრთნელს ჟერარ ულიეს ერთი ფორვარდის დამატება სურს და ტრეზი მისი მთავარი სამიზნეა. „ლომებს" 29 წლის თავდამსხმელის ყიდვა ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ „იუვეს" მისი გაშვება არ უნდა.

„ზაფხულში ტურინში ვიყავით და ტრეზეგეს ტრანსფერზე მოლაპარაკება გვინდოდა, მაგრამ „იუვენტუსის" ხელმძღვანელობამ გარკვევით გვითხრა, რომ მის გაყიდვაზე არც კი ფიქრობდა. არა მგონია მათ აზრი შეეცვალათ. თუმცა ჩვენთვის დავიდი ბრწყინვალე შენაძენი იქნებოდა. გარდა იმისა, რომ იგი ჩინებული ფორვარდია, ამ სეზონში ევროტურნირებზე არ უთამაშია და ამიტომ, ჩემპიონთა ლიგაშიც შეძლებდა მონაწილეობის მიღებას" — თქვა „ლიონის" სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ლაკომბმა.

ტრეზეგეს მსურველებად „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლივერპული" და „მილანიც" სახელდებიან. თავად ფრანგმა კი ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ თქვა, სეზონის ბოლომდე „იუვეში" ვრჩები, ხოლო მერე არ ვიცი, გააჩნია რა ამბიციები გვექნება და როგორი შემადგენლობა გვეყოლებაო.

**გიორგი ქაქაბაძე**



# ირურეტამ თავი მოიხსნა

**„ბეტისის"** პრეზიდენტმა ხოსე ლეონმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ხავიერ ირურეტა „მწვანეთა" მწვრთნელი აღარ იქნება. თუმცა სენიორ ლეონს მედიასთან არ დაუკონკრეტებია, ლეგენდარული დამრიგებელი გუნდიდან დაითხოვეს, თუ თავისი ნებით წავიდა. პრეზიდენტი კორესპონდენტებს მაშინ გაესაუბრა, როცა „რუის დე ლოპერაზე" დაგეგმილ მნიშვნელოვან კრებაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა. ამ კრებას თავად ხოსე ლეონი, აწ უკვე ექსბეტისელი ხავიერ ირურეტა, კლუბის მთავარი აქციონერი მანუელ რუის დე ლოპერა და სპორტული დირექტორი მანოლო მონპარლეტი დაესწრნენ. შეხვედრამდე მცირე ხნით ადრე კი „ბეტისის" პრეზიდენტმა თქვა: „ერთადერთი, რაც შემიძლია, გითხრათ, არის ის, რომ ირურეტა „ბეტისს" დატოვებს".

სტადიონზე გამართული თათბირის შემდეგ მედიის წარმომადგენლები „ხაბოსაც" გაესაუბრნენ. „კლუბთან ჩემი კონტრაქტის გაწყვეტის გადაწყვეტილება ერთხმად მივიღეთ, თუმცა ამის მოთავე მე ვიყავი. დარჩენა შემეძლო, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს სწორი არ იქნებოდა. პრიმერადივიზიონში „ხიმნასტიკთან" შეხვედრის წინ უკვე ვიცოდი, რომ „ბეტისიდან" წავიდოდი. ის თამაში მოვიგეთ, თუმცა ხედავთ, რომ კლუბი მაინც დავტოვე. „ბეტისის" საქმე არც ისე ცუდადაა, გუნდი კოპა დელ რეიზე რჩება და პრიმერაში დარჩენის შანსებიც არ დაუკარგავს. ოღონდ არსებობს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, უფროსობამ და ინჩასებმა ჩემდამი რწმენა დკაარგეს და გუნდიდანაც ამიტომ მივდივარ" — აღნიშნა ირურეტამ.

ბასკმა სპეციალისტმა ყოფილ გუნდს წარმატებები უსურვა: „ამ კლუბმა საშუალება მომცა, პრიმერადივიზიონში ჩატარებული მატჩების რაოდენობა 600-ამდე გამეზარდა. მინდა, „ბეტისს" და მის გულშემატკივრებს, რომელთაც მსოფლიოს საუკეთესო ინჩადად ვთვლი, ყოველივე სიკეთე ვუსურვო. ახლა წინ თვრამეტდღიანი დასვენებაა და გუნდის თავკაცებს ახალი მწვრთნელის მოსაძებნად საკმარისი დრო ექნებათ".

ანდალუზიური კლუბის სავარაუდო მწვრთნელებად „ბეტისის" ყოფილ ფეხბურთელსა და დამრიგებელს, ბოსნიელ ფარუქ ჰაჯიბეგიჩსა და ლეგენდარულ ბულგარელ ხრისტო სტოიჩკოვს ასახელებენ.

**ლადო ხომერიკი**

# ველესი დაღოღავს



**რიკარდო ლა ვოლპე** „ველეს სარსფილდის" მწვრთნელად დანიშნეს. ერთი კვირის წინ იგი „ბოკა ხუნიორსიდან" წავიდა, რადგან გუნდს ჩემპიონატი ვერ მოაგებინა.

ფაქტობრივად გაცვლა გამოვიდა, რადგან „ველესის" ყოფილი თავკაცი მიგელ ანხელ რუსო „ბოკა ხუნიორსში" მივიდა. „რამდენიმე დღიანი მოლაპარაკების შემდეგ ლა ვოლპე ერთწლიან კონტრაქტზე დაგვყაბულდა" — ნათქვამია კლუბის ვებგვერდზე.

რიკარდო ლა ვოლპემ გასულ მუნდიალზე მექსიკის ნაკრები მერვედფინალში გაიყვანა, სადაც არგენტინასთან დამარცხდა. მერე ეროვნული გუნდი მიატოვა და სექტემბერში „ბოკა ხუნიორსი" ჩაიბარა. არგენტინელმა ლა ვოლპემ 26 წელი გაატარა მექსიკაში, სადაც თამაშობდა და შემდეგ მწვრთნელობდა. მეოთხედი საუკუნის მერე კი სამშობლოში დაბრუნდა. აპერტურის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მისი „ბოკა" „ესტუდიანტესს" ოთხი ქულით უსწრებდა, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ სხვაობა მდევარმა გაუბათილა, ხოლო „ოქროს" მატჩში „სტუდენტებმა" იმარჯვეს და ჩემპიონატი მოიგეს. ლა ვოლპეზე ამბობენ, რომ განსაკუთრებული ვარჯიშები აქვს და უდიდეს ყურადღებას აქცევს ტაქტიკას. სამსაათიანი ვარჯიშის შემდეგ ზოგიერთი ფეხბურთელი თურმე მიწაზე დაღოღავს, რადგან ფეხზე ვეღარ დგება.

**ირაკლი ნინიძე**

# კაპელოს კანალი


დიარამ და კასანომ კაპელო გაჭორეს

**„რეალი" — „უელვას"** მატჩის განაცხადში ანტონიო კასანო და მაჰამადუ დიარა არ ყოფილან. ამის ოფიციალურ მიზეზად მადრიდელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე, ფეხბურთელების არასათანადო ფორმაში ყოფნა დაასახელა, ტრავმების შემდეგ ჯერ ვერ მომჯობინდნენო.

ესპანური პრესა კი იუწყება, რომ რეალური მიზეზი სხვაა. გასულ უქმეებზე „ესპანიოლთან" მატჩისას ეს წყვილი სათადარიგოთა სკამზე ერთმანეთის გვერდით იჯდა და „კანალ პლუსის" კამერამ მათი მოკლე საუბარი ჩაიწერა.

„ისევე ხშირად ვერ ვთამაშობთ, როგორც ემერსონი. მე და შენ ყოველთვის გარეთ ვრჩებით" — დაუჩივლია დიარას.

„კაპელო მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელს აქცევს ყურადღებას. მისთვის მხოლოდ რუუდ ვან ნისტელროი და რაული არსებობენ. თუ რაული არ თამაშობს, მაშინ დევიდ ბექემი ან რონალდო. მათ მერე კი რობინიო და ხოსე ანტონიო რეიესი მოდიან" — ასეთი ყოფილა კასანოს პასუხი.

ამ საუბრის ჩანაწერი საჯაროდ გავრცელდა და მას კაპელოც მოისმენდა. დონ ფაბიოს ეს, ცხადია, არ ესიამოვნებოდა და, ალბათ, ფეხბურთელების დასჯა ასე გადაწყვიტა. კასანოსთან კონფლიქტის ამბავი კარგა ხანია, ცნობილია და ახლა როგორც ირკვევა, არც დიარასთან ჰქონია იდეალური ურთიერთობა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# მარტო კაცი გასახდელში

## მუსიე ვაროს გაზრდილი ბიჭი

მსოფლიო ფეხბურთის გიგანტს ზინედინ ზიდანს კარიერაში თითქმის ყველაფერი აქვს მოგებული — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები, ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი, სხვადასხვა ქვეყნების ჩემპიონობა და თასები, ინდივიდუალურ ჯილდოებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ: მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ და მრავალი სხვა... მსხვილი ჯილდოებიდან მის კოლექციაში ერთი უეფას თასი არ ჩანს და იქაც ფინალში აქვს ნათამაშები.

დიადი კარიერა ზიდანმა გასულ ზაფხულს, არც მეტი არც ნაკლები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ოღონდ ფრიად უჩვეულოდ, წითელი ბარათით დაასრულა (მის მიერ იტალიელი მარკო მატერაცის დანოკდაუნების ამბავს აქ აღარ გავიხსენებთ, რადგან ყველასთვის კარგად არის ცნობილი) და მას მერე ახალ ცხოვრებას მიჰყო ხელი — მსოფლიოში მშვიდობის ელჩის როლი მოიხდინა.

ზიდანი საერთოდ მორცხვი ადამიანია და პრესასთან ვრცელ ინტერვიუებსაც ყოველთვის გაურბოდა, მაგრამ ამასწინათ, ციურიხში გამართულ გალა წარმოდგენაზე, სადაც ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო ფაბიო კანავაროს ხვდა, მას კი მეორეობა ერგო, **fifa.com**-ის კორესპონდენტს ველარსად გაექცა და ჩვენც მათ ნაუბარს ქვემოთ გთავაზობთ



— **უპირველეს ყოვლისა გთხოვთ, აზრი გაგვიზიაროთ იმ ორ ფეხბურთელზე, რომლებმაც თქვენთან ერთად მსოფლიოს საუკეთესოთა სამეული შეადგინეს — კანავაროსა და რონალდინიოზე გეკითხებით.**

— ფაბიო კანავარო მცველია. მართალია, გასულ წლებში აღიარებას ნახევარმცველები და თავდამსხმელები აღწევდნენ, მაგრამ, წლევანდელი ლაურეატი ტიტულს რომ იმსახურებს ეჭვგარეშეა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში კანავარო ძალიან სხარტად თამაშობდა, მან თავი ტიერი ანრის მეურვეობაში გამოიჩინა. მერედა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონია. აქ, ტიტული ბევრ რამეს წყვეტს. რაც შეეხება რონალდინიოს, იმას, რასაც მასზე ხალხი ამბობს, ბევრს ვერაფერს დავამატებ. ის ჯადოსნური ფეხბურთელია. გოლი, რომელიც ამასწინათ „ვილიარეალს“ გაუტანა, მის სრულყოფილებას ამტკიცებს. იმ ეპიზოდში მოქმედება მეტისმეტად სწრაფად ვითარდებოდა, მან კი ამის მიუხედავად ზუსტად იცოდა რის გაკეთებას აპირებდა, რასაც საგანგებო ნიჭი სჭირდება. რონალდინიო ისე სწრაფად შემოტრიალდა თითქოს ზურგითაც კარგად ხედავდა სად არის კარი და თავისი მდგომარეობის მიუხედავად უზადო მაკრატელა დაარტყა.

— **2006 წელი მეტისმეტად დატვირთული გამოდგა. და მაინც, რა იყო ამ წლის მთავარი მოვლენა?**

— რასაკვირველია, მსოფლიოს ჩემპიონატი. განა ბევრი წარმოიდგენდა, რომ საფრანგეთის ნაკრები ფინალში გავიდოდა? ჩვენ კი ეს მაინც შევძელით. ეს მიღწევა იყო, რომელიმე ცალკე აღებული ეპიზოდი გადამწყვეტი არ ყოფილა, მუნდიალი მთლიანად გახლდათ მოვლენა. თან, მე ხომ იმთავითვე ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შეჯიბრება იყო. რომ მოგვეგო საერთოდ დიდებული იქნებოდა, მაგრამ დიდი მონდომებისა და თავდადების წყალობით ფინალში თამაშიც საუცხოო რამ გახლდათ.

— **და გუნდისგან დამოუკიდებლად, პირადად თქვენთვის რით იყო ეს წელიწადი გამორჩეული?**

— რაც ფეხბურთის თამაშს თავი დავანებე იმდენ ახალ წამოწყებაში ჩავები, რომ ამოსუნთქვისა და ყველაფრის გააზრების დრო არც კი მქონდა. ფეხბურთის გარე სამყაროსთან, ჩვეულებრივ ხალხთან ურთიერთობა მეტისმეტად საინტერესო აღმოჩნდა. მე ეს ბანგლადეშში გამოვცადე. გარდა ამისა შევხვდი საუცხოო ადამიანებს, ნობელის პრემიის ლაურეატებს და ყველაფერთან ერთად რამდენიმე დღით ალჟირში, ჩემი მშობლებისა და წინაპრების ქვეყანაში ჩასვლაც კი მოვახერხე.

— **და მაინც, ფინალში მიღებულმა წითელმა ბარათმა, მსოფლიოს ჩემპიონატს, ალბათ ცოტათი მაინც მიაყენა ჩრდილი... თუმცა, იმ შეხვედრაში სხვაც ბევრი მოხდა. მაგალითად, თქვენ პენალტი გაიტანეთ... პენალტზე გვიამბეთ.**

— პანენკას სტილით დარტყმა წინასწარ მოფიქრებული არ მქონდა, მაგრამ რაღაც განსხვავებული რომ უნდა გამეკეთებინა, ვხვდებოდი. ჩვეულებრივ, პენალტებს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას ვარტყამდი, მაგრამ იმ ეპიზოდში ჩემს წინააღმდეგ იდგა კაცი, რომელიც ფაბიენ ბარტეზთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ მიმაჩნია. მოკლედ, აშკარა იყო რაღაც განსხვავებული უნდა მექნა და ბურთს პენალტის ნიშნულზე რომ ვდებდი დარტყმის ვარიანტიც მაშინ მომივიდა თავში აზრად. გადავწყვიტე იგი მეკარის ზევით კარის შუაში შემეგდო. რომ დავარტყი თვალი მივადევნე და დავინახე, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა.

— **ფინალის კიდევ ერთი თვალშისაცემი მომენტი თქვენი თავური იყო, რომელიც ბუფონმა მოიგერია.**

— ნამდვილად გადამწყვეტი მომენტი იყო. ბუფონმა ის ბურთი რომ ამილო კინაღამ ყვირილი დავიწყე, რადგან ვიცოდი, ბურთი კარში რომ შესულიყო ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვიყავით. თამაშის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩებოდა, ძალ-ღონე კი უკვე ყველას გამოლევაზე ჰქონდა. იმ თავურს და თამაშის მიწურულს რიბერის მომენტს ყველაფრის ჩვენს სასარგებლოდ შეცვლა შეეძლო. მოკლედ, ბუფონზე საშინლად გავბრაზდი, თუმცა არ გავბოროტებულვარ. მე მას ვიცნობ და ვიცი, რომ ძალიან კარგი ბიჭია. სხვათა შორის, ის ჩემი გაძევების დროსაც კარგად მოიქცა, თუმცა ფაქტია, რაც მოხდა. გაეხარდებოდა, რადგან მოედანზე რომ დავრჩენილიყავი, არ არის გამორიცხული, თამაში მაინც ჩვენს სასარგებლოდ დამესრულებინა. კიდევ, ჩემი გაძევება იმას ნიშნავდა, რომ თუ საქმე პენალტებზე მიდგებოდა მე ვეღარ დავურტყამდი.

— **თამაშის ბოლო სად ნახეთ?**

— გასახდელში მარტო ვიჯექი. უმძიმესი სანახავი იყო, როგორ წააგეს ჩემმა თანაგუნდელებმა პენალტებში. პენალტების წინ ნერვები საშინელ დღეში მქონდა.

— **ამბობენ, რომ ამ ჩემპიონატზე თქვენ ყველაზე კარგად ბრაზილიასთან ითამაშეთ.**

— ბრაზილიასთან თამაში ყოველთვის სხვაა. იმ მატჩისთვის საგანგებოდ ნამდვილად არ მოვმზადებულვართ, მაგრამ ეს თავად ბრაზილიელებს სჩვევიათ — განსაკუთრებული თამაშისკენ გიბიძგებენ ხოლმე. იმ შეხვედრაში არაფერი გაგვირთულებია, განსაკუთრებული არაფერი მოგვიფიქრებია, უბრალოდ გავედით და მეტოქეს გავეჯიბრეთ. ნამდვილად მეეჭვება, რომ მაშინ მხოლოდ ჩემი წყალობით გავიმარჯვეთ, იმ დღეს მთელი გუნდი დიდებული იყო. ერთი სიტყვით, განსაკუთრებული თამაში გამოგვივიდა, მე კი ერთი-ორი რამ გამორჩეული გავაკეთე, რაც ყოველთვის სახალისოა.

— **არადა, ტურნირი მძიმედ დაიწყეთ. ასე არ იყო?**

— ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას ვაუმჯობესებდით თამაშს. თავიდან საკუთარი ძალებისა ბოლომდე არც კი გვჯეროდა და თან, ჯგუფშიც ძნელი თამაშები გვერგო. გონზე მოსვლაში ტოგოსთან გამარჯვება დაგვეხმარა. ამ გამარჯვებამ დაგვაძლევინა ის კრიზისი, 2002 წლის მუნდიალზე ნაჩვენებმა უსახურმა თამაშმა რომ შვა. ჩვენ რაღაც ისეთი გვჭირდებოდა, საკუთარ ძალთა რწმენას თავიდან რომ შთაგვინერგავდა. შემდეგ ჩვენ ჩემპიონატის ერთ-ერთი დიდი ფავორიტი ესპანეთი დავამარცხეთ. ამ გუნდმა პირველ ტურში საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა და, შესაბამისად, მისი ძლევა ჩვენთვის კიდევ უფრო მეტ თვითრწმენას ნიშნავდა. ასე მივედით ბრაზილიასთან თამაშამდე, როდესაც დასაკარგავი ნამდვილად აღარაფერი გვქონდა.

— **ესპანეთთან თამაშის წინა დღეებში ამ ქვეყნის პრესა თქვენზე ცოტა მკვახედ წერდა. ამან დამატებითი სტიმული ხომ არ შეგძინათ?**

— ესპანეთთან თამაშის წინ დამატებითი სტიმული ნამდვილად არ მჭირდებოდა. განა ბევრია ამქვეყნად ფეხბურთელი, რომელიც კარიერის მანძილზე მსოფლიოს თუნდაც ერთ ჩემპიონატში მონაწილეობს? აქ, ორსა და სამ ჩემპიონატში მონაწილეობაზე აღარაფერს ვამბობ. ჩემთვის ეს მესამე მუნდიალი იყო და თან წინამ დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. ალბათ, ამიტომაც გამიშვა ესპანურმა პრესამ იმ თამაშის წინ პენსიაზე, ოღონდ ეს ცოტა ნაადრევად მოუვიდა. იმ დღეს ისე გამოვიდა რომ მათ ვუპასუხე: „არა, ბატონებო, დღეს ჩემი კარიერის ბოლო თამაში არ არის“. მოკლედ, ყველაფერი კარგად აგვეწყო. ჩვენ ესპანეთი დავამარცხეთ, გავიმარჯვეთ და შეჯიბრება გავაგრძელეთ.

— **და გჯეროდათ, რომ ფინალში გახვიდოდით?**

— ვგრძნობდით, რომ უკვე დიდ გუნდობას ვუახლოვდებოდით. ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ვიცოდით, რომ თუ მუნდიალის დღეებში ფიზიკური ფორმის პიკს და ფსიქოლოგიურად სწორ მდგომარეობას მივაღწევდით, შეჯიბრებას ბოლომდე გავიდოდით. და მართლა ასე მოხდა. ჩვენ, პორტუგალიასთან თამაშს თუ არ ჩავთვლით, ყოველ შეხვედრაში უკეთ ვთამაშობდით ვიდრე წინაში.



— ახლა თქვენს წინაშე ახალი ამოცანა დგას, ფეხბურთელობის შემდგომი კარიერა უნდა აიწყოთ. როგორ გადაიტანეთ პირველი პერიოდი?

— კარიერა ისე დავამთავრე, როგორც ვგეგმავდი. ძნელია, როდესაც შენს ბედს სხვა განაპირობებს, როდესაც ვიღაც გკარნახობს, რომ წასვლის დროა. მე ფეხბურთის თამაშს თავი ამისათვის ზედმიწევნით შესაფერის დროს დავანებე. კიდევ ფეხბურთის თამაშს თავი იმიტომ დავანებე, რომ ზუსტად ისეთი კარიერა მქონდა, როგორზეც ვოცნებობდი. უფრო სწორედ, ასეთ კარიერაზე არც ვოცნებობდი, გულწრფელად გეტყვით, სინამდვილემ ოცნებას გადააჭარბა.

— კარიერის დასასრული უკან მოხედვისთვის მოსახერხებელი მომენტია. როგორ ფიქრობთ, თქვენი საუკეთესო მატჩი როდის ითამაშეთ?

— თამაში, რომელსაც გონებით ყოველთვის ვუბრუნდები, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალია „იუვენტუსსა“ და „აიაქსს“ შორის. ჩვე 4:1 მოვიგეთ და ოთხიდან ორი ჩემი პასით გავიდა, ერთი კი გავიტანე. თამაშის შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს ჩავხედეთ და აღმოვაჩინე, რომ ბურთი სულ ერთხელ თუ ორჯერ დამიკარგავს. ჩემი პასები სწორი და დროული იყო. იმ საღამოს ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენე.

— და კარიერის უმაღლეს წერტილზე რაღას იტყვით?

— კარიერის უმაღლესი წერტილი მსოფლიოს ჩემპიონობა გახლდათ. ნებისმიერი ფეხბურთელი ამას გეტყვით — მსოფლიოს ჩემპიონობა მაქსიმუმია. განა ყველა ხდება მსოფლიოს ჩემპიონი? მე გამიმართლა, რომ გავხდი და თან ეს ჩემს სამშობლოში მოხდა. მაშინ უბედნიერესი კაცი ვიყავი.

— და, საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთან ერთადაც გითამაშიათ?

— თუ ფორმაშია რონალდო განსაკუთრებულია. მისი შესრულებით ზოგჯერ ისეთი რამ მინახავს, მოჯადოვებულვარ. რონალდოს კარიერაში ხშირი ტრავმები იყო. ახლაც მეორე ტრავმას იშუშებს და ამიტომ ძნელია იმის თქმა, როდის მიაღწევს ისევ ფორმის მწვერვალს, თუმცა ვიცი, მას ეს შეუძლია. და როდესაც ის საუკეთესო ფორმაში შევა, მისი მჯობნი არავინ იქნება. იგი უამრავი თვისებით არის დაჯილდოვებული. უნიკალური ტექნიკა აქვს, ბურთს რასაც უნდა იმას აკეთებინებს, თუმცა გარედან ეს რაიმე განსაკუთრებული სახით შეიძლება არც გამოჩნდეს. ამას გარდა აქვს ისეთი თვისება, რომლითაც უმეტესობა ვერ დაიკვეხნის — როცა ბურთი ფეხში აქვს სისწრაფეს არ კარგავს. ის ბურთით უფრო სწრაფია ვიდრე ბევრი უბურთოდ. პლუს, რონალდო დიდი მეგოლეა. მოკლედ ის რონალდოა და მისი ბადალი არავინ არის.

— თქვენს კარიერაზე ვინ იქონია ყველაზე დიდი გავლენა?

— უპირველეს ყოვლისა მუსიე ვარომ, ჩემი მწვრთნელი იყო „კანში“. სამწუხაროდ ის ცოცხალი აღარ არის. გზაზე სწორედ მან დამაყენა. მას შემდეგ კი ბევრმა ადამიანმა გამიმართა ხელი. ისინი იმდენად ბევრნი არიან, რომ ჩამოთვლა ძნელია.

— თქვენი კარიერა თითქმის 15 წელიწადს გაგრძელდა. რა ცვლილება განიცადა ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთმა?

— ოთხმოციან წლებში მთავარი ტექნიკა იყო. მაშინ მცველები შესაძლოა, ნაკლებ ტექნიკურები იყვნენ და ბურთთან სამოქმედოდ მეტ სივრცესა და დროს სტოვებდნენ. დღეს მთავარი სწრაფად თამაშია. გარდა ამისა ფეხბურთელები ათლეტები გახდნენ და ამან ვითარება შეცვალა.

დღევანდელ ფეხბურთში ფიზიკურად ძალიან ძლიერი უნდა იყო და თუ ამასთან ერთად მაგალითად, რონალდინიოსავით ტექნიკაც გაქვს, მაშინ ყველაფერი იდეალურად არის. თუ მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხარ, ძალიან გაგიჭირდება. ახლანდელი ბიჭები დიდები და ღონიერები, თუმცა ამასთან ტექნიკურებიც არიან. შეხედეთ „ლიონის“ ჰატემ ბენ არფას. ის ალნაგი და იმავდროულად სწრაფია, თუმცა ვინ იცის, იქნებ დადგეს დრო, როდესაც ყველაფერი ისევ შეიცვლება.

— როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები სჭირდება ფეხბურთს?

— 30 წლის ასაკში ადამიანის სხეულში ცვლილებებია და ბრძოლა ყოველი მომდევნო შეხვედრისთვის ძალთა აღდგენა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება. მერედა, თუ კვირაში სამი მატჩი გელის, ყველაფერი მითუფრო რთულია. ასე იყო ჩემთვისაც კარიერის ბოლოს. ასეთ დროს სპექტაკლის შენარჩუნება მეტად ძნელდება. თუ ხალხი მომავალში ფეხბურთისგან კვლავ სანახაობას მოითხოვს, მაშინ თამაშების რაოდენობის შემცირება მოუწევთ.



# ფრე ანგელოზთან
## ბარსას იაპონია შეეყარა




## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XVI ტური

**ბარსელონა 1:1 ატლეტიკო**

1:0 რონალდინიო (40), 1:1 აგერო (60)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ტურამი (ჟიული 61), ოლეგერი, ხავი, ტ. მოტა, დეკუ, ინიესტა, რონალდინიო, გუდიონსენი (ესკერო 68)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი (ვალერა 20), ა. ლოპესი, ზე კასტრო, პაბლო, გალეტი (პერნია 85), მანიშე, ლუქსენი, ხურადო (მისტა 46), ფ. ტორესი, აგერო

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: სეიტარიდისი, ბელეტი, მოტა, ლუქსენი, მანიშე, მისტა, დეკუ, გალეტი, რონალდინიო

მსაჯი: მედინა კანტალეხო

53 685 მაყურებელი

„ბარსელონამ“ გულშემატკივარისთვის იაპონური ფიასკოს დავიწყება ვერ მოახერხა — საკლუბო მუნდიალზე წაგებულმა კატალონიელებმა გამარჯვებას ვერც „ატლეტიკოსთან“. რაიკარდის გუნდმა „ათლეტთა“ კარის დალაშქვრა მარტო რონალდინიოს ჯადოსნობით მოახერხა, ბრაზილიელმა პირველი ტაიმის მიწურულს საჯარიმო დარტყმა ჩინებულად შეასრულა. თუმცა ამის შემდეგ რონის თავი დიდად არ გამოუჩენია. მეორე ტაიმში კი უკვე „ატლეტიკოს“ ჯერი დადგა, „კუნ“ აგერომ ლუქსენის პასით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

ვინც ამ თამაშში გოლების წვიმას ელოდებოდა, იმედები გაუცრუვდათ. ეს ძირითადად „ატლეტიკოს“ მიზეზით მოხდა, მადრიდელებმა მთელი ყურადღება დაცვაე გადაიტანეს და კონტრიერიშებზე აქტიურობა მხოლოდ ტორესისა და აგეროს სწრაფ წყვილს მიანდეს. პაბლოსა და ზე კასტროს კი თავიდან საკმაოდ გაუჭირდათ და მათი დაუდევრობა აგირეს გუნდს კინაღამ დეკუსა და ინიესტას გოლებად დაუჯდა. სტუმრებს მეოცე წუთზე სეიტარიდისი დაუშავდათ, რომელიც ვალერამ შეცვალა. ხოლო ანტონიო ლოპესმა პირველ ტაიმში „ათლეტთა“ ერთადერთი საგოლე შანსი გაანიავა, მისი საჯარიმო გასროლა „ბარსას“ მეკარე ვიქტორ ვალდესმა უკუაგდო.

| 11088 | ასკოლი-კიევო | 3.90 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11089 | კატანია-სამპდორია | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11090 | ფიორენტინა-მესინა | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11091 | ინტერი-ატალანტა | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.70 | 6.50 | 18.00 | 25.00 | 16.00 | 16.00 |
| 11093 | ლივორნო-ტორინო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11094 | პარმა-ლაციო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11095 | რეჯინა-ემპოლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11096 | რომა-კალიარი | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11098 | სიენა-პალერმო | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11099 | უდინეზე-მილანი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11165 | ნიცა-ლანსი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11167 | სოშო-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11168 | ტულუზი-ნანტი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11169 | ტრუა-პსჟ | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11170 | ვალენსიენი-სედანი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11171 | ბორდო-ლე მანი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11172 | ლილი-ოსერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11174 | ლორიანი-რენი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11175 | ლიონი-მონაკო | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12003 | ლივერპული-უოტფორდი | 1.90 | 1.70 |
| 12005 | სიტი-ბოლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.60 | 2.00 |
| 12010 | რედინგი-ევერტონი | 1.60 | 2.00 |
| 12011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12015 | უიგანი-ჩელსი | 1.60 | 2.00 |
| 12057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 12059 | სელტიკი-ფოლკირკი | 2.20 | 1.55 |
| 12061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 1.90 | 1.70 |
| 12062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 12063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.90 | 1.70 |
| 12065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 1.90 | 1.70 |
| 12088 | ასკოლი-კიევო | 1.55 | 2.20 |
| 12089 | კატანია-სამპდორია | 1.55 | 2.20 |
| 12090 | ფიორენტინა-მესინა | 2.00 | 1.60 |
| 12091 | ინტერი-ატალანტა | 2.00 | 1.60 |
| 12093 | ლივორნო-ტორინო | 1.55 | 2.20 |
| 12094 | პარმა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12095 | რეჯინა-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12096 | რომა-კალიარი | 2.00 | 1.60 |
| 12098 | სიენა-პალერმო | 1.60 | 2.00 |
| 12099 | უდინეზე-მილანი | 1.60 | 2.00 |
| 12165 | ნიცა-ლანსი | 1.50 | 2.30 |
| 12167 | სოშო-ნანსი | 1.55 | 2.20 |
| 12168 | ტულუზი-ნანტი | 1.55 | 2.20 |
| 12169 | ტრუა-პსჟ | 1.60 | 2.00 |
| 12170 | ვალენსიენი-სედანი | 1.55 | 2.20 |
| 12171 | ბორდო-ლე მანი | 1.55 | 2.20 |
| 12172 | ლილი-ოსერი | 1.60 | 2.10 |
| 12174 | ლორიანი-რენი | 1.55 | 2.20 |
| 12175 | ლიონი-მონაკო | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ლივერპული-უოტფორდი | 2.00 | 1.60 |
| 13005 | სიტი-ბოლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | რედინგი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.90 | 1.70 |
| 13013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | უიგანი-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13059 | სელტიკი-ფოლკირკი | 2.10 | 1.60 |
| 13061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 1.70 | 1.90 |
| 13062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.70 | 1.90 |
| 13063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13088 | ასკოლი-კიევო | 1.70 | 1.90 |
| 13089 | კატანია-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13090 | ფიორენტინა-მესინა | 2.00 | 1.55 |
| 13091 | ინტერი-ატალანტა | 2.00 | 1.55 |
| 13093 | ლივორნო-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13094 | პარმა-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13095 | რეჯინა-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13096 | რომა-კალიარი | 2.00 | 1.55 |
| 13098 | სიენა-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 13099 | უდინეზე-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13165 | ნიცა-ლანსი | 1.70 | 1.90 |
| 13167 | სოშო-ნანსი | 1.70 | 1.90 |
| 13168 | ტულუზი-ნანტი | 1.70 | 1.90 |
| 13169 | ტრუა-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ვალენსიენი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 13171 | ბორდო-ლე მანი | 1.70 | 1.90 |
| 13172 | ლილი-ოსერი | 1.70 | 1.90 |
| 13174 | ლორიანი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13175 | ლიონი-მონაკო | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14003 | ლივერპული-უოტფორდი | 1.03 | 2.90 |
| 14005 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.80 | 2.00 |
| 14008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.30 | 2.50 |
| 14010 | რედინგი-ევერტონი | 1.75 | 2.10 |
| 14011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.07 | 2.90 |
| 14013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 2.40 | 1.40 |
| 14015 | უიგანი-ჩელსი | 2.60 | 1.17 |
| 14057 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.00 | 1.80 |
| 14061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 2.00 | 1.80 |
| 14062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.90 | 1.90 |
| 14063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.25 | 2.60 |
| 14065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 1.25 | 2.60 |
| 14088 | ასკოლი-კიევო | 1.90 | 1.80 |
| 14089 | კატანია-სამპდორია | 1.80 | 1.90 |
| 14090 | ფიორენტინა-მესინა | 1.04 | 2.90 |
| 14091 | ინტერი-ატალანტა | 1.04 | 2.90 |
| 14093 | ლივორნო-ტორინო | 1.70 | 2.20 |
| 14094 | პარმა-ლაციო | 1.90 | 1.80 |
| 14095 | რეჯინა-ემპოლი | 1.65 | 2.20 |
| 14096 | რომა-კალიარი | 1.04 | 2.90 |
| 14098 | სიენა-პალერმო | 2.00 | 1.80 |
| 14099 | უდინეზე-მილანი | 1.95 | 1.85 |
| 14165 | ნიცა-ლანსი | 1.90 | 1.90 |
| 14167 | სოშო-ნანსი | 1.65 | 2.30 |
| 14168 | ტულუზი-ნანტი | 1.30 | 2.50 |
| 14169 | ტრუა-პსჟ | 1.90 | 1.90 |
| 14170 | ვალენსიენი-სედანი | 1.65 | 2.20 |
| 14171 | ბორდო-ლე მანი | 1.40 | 2.40 |
| 14172 | ლილი-ოსერი | 1.30 | 2.50 |
| 14174 | ლორიანი-რენი | 1.80 | 2.00 |
| 14175 | ლიონი-მონაკო | 1.08 | 2.90 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ლივერპული-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | სიტი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | პორტსმუთი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | რედინგი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | არსენალი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | უიგანი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | აბერდინი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | სელტიკი-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | ასკოლი-კიევო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15089 | კატანია-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | ფიორენტინა-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ინტერი-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ლივორნო-ტორინო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | პარმა-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | რეჯინა-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | რომა-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | სიენა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | უდინეზე-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ნიცა-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | სოშო-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ტულუზი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15169 | ტრუა-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ვალენსიენი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ბორდო-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15172 | ლილი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ლორიანი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | ლიონი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.60 | 2.00 |
| 16005 | სიტი-ბოლტონი | 1.75 | 1.85 |
| 16006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.24 | 3.40 |
| 16007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.65 | 1.95 |
| 16008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.24 | 3.40 |
| 16010 | რედინგი-ევერტონი | 1.60 | 2.10 |
| 16011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.05 | 6.50 |
| 16013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 4.20 | 1.15 |
| 16015 | უიგანი-ჩელსი | 6.00 | 1.06 |
| 16057 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.00 | 1.60 |
| 16061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 1.95 | 1.65 |
| 16062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.80 | 1.80 |
| 16063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.15 | 4.20 |
| 16065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 1.18 | 3.90 |
| 16088 | ასკოლი-კიევო | 2.00 | 1.60 |
| 16089 | კატანია-სამპდორია | 1.60 | 2.00 |
| 16090 | ფიორენტინა-მესინა | 1.03 | 6.80 |
| 16091 | ინტერი-ატალანტა | 1.03 | 6.80 |
| 16093 | ლივორნო-ტორინო | 1.45 | 2.30 |
| 16094 | პარმა-ლაციო | 2.00 | 1.90 |
| 16095 | რეჯინა-ემპოლი | 1.45 | 2.30 |
| 16096 | რომა-კალიარი | 1.03 | 6.80 |
| 16098 | სიენა-პალერმო | 2.00 | 1.60 |
| 16099 | უდინეზე-მილანი | 2.00 | 1.60 |
| 16165 | ნიცა-ლანსი | 1.80 | 1.80 |
| 16167 | სოშო-ნანსი | 1.35 | 2.80 |
| 16168 | ტულუზი-ნანტი | 1.20 | 3.60 |
| 16169 | ტრუა-პსჟ | 1.80 | 1.80 |
| 16170 | ვალენსიენი-სედანი | 1.32 | 3.00 |
| 16171 | ბორდო-ლე მანი | 1.23 | 3.40 |
| 16172 | ლილი-ოსერი | 1.17 | 3.85 |
| 16174 | ლორიანი-რენი | 1.60 | 2.10 |
| 16175 | ლიონი-მონაკო | 1.06 | 6.30 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ფულემი-ვესტ ჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ლივერპული-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | სიტი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | პორტსმუთი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | რედინგი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | არსენალი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | უიგანი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | აბერდინი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | სელტიკი-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17062 | დანფერმლაინი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ჰიბერნიანი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17065 | კილმარნოკი-მოსერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ასკოლი-კიევო | 1.85 | 1.95 |
| 17089 | კატანია-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ფიორენტინა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ინტერი-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ლივორნო-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17094 | პარმა-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17095 | რეჯინა-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | რომა-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | სიენა-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17099 | უდინეზე-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ნიცა-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | სოშო-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ტულუზი-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ტრუა-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ვალენსიენი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ბორდო-ლე მანი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | ლილი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ლორიანი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ლიონი-მონაკო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



# სეოკის რჩეულნი: ზაზა კედელაშვილი და დავით ბედინაძე

## ქართული ოლიმპიზმის საპეკინო ვარაუდი: 46 ლიცენზია

ზაზა კედელაშვილი და დავით ბედინაძე, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით, 2006 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები არიან. ამავე ორგანიზაციის ვერსიით, წლევანდელი სპორტული სეზონის საუკეთესო მწვრთნელი დავით ბედინაძის აღმზრდელი ვაჟა კრავეიშვილი გახლავთ. ეს გაცხადდა გუშინ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომელიც ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში მოეწყო.

განვლილი სეზონის საუკეთესო სპორტსმენები და სხვებიც გუშინ სათანადოდ დააფასეს, მათ შორის ფიგურულად მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობების წარმომადგენელთაგან საუკეთესოდ აღიარეს.

აღიარება და დაფასება არც საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ ელგუჯა ბერიშვილს დააკლეს, რომლის მეთაურობითაც გამოიცა მსოფლიო სტანდარტების დონეზე მომზადებული და დასტამბული „სპორტის ენციკლოპედია".

სხვათა შორის, ელგუჯა ბერიშვილის გუშინდელი კიდევ ერთი აღიარება და დაფასება მის დაბადების დღეს დაემთხვა და სხვათა მილოცვებსა და კეთილ სურვილებს ჩვენსასაც ვუერთებთ.

რაკი დაბადების დღეზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ გუშინდელ სესიაზე სეოკ-ის ორდენებით აღნიშნეს ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანი სპორტსმენების: ნონა გაფრინდაშვილის, მზია ჯუღელის, ვახტანგ ბალავაძის, ნოდარ ჯორჯიკიასა და შოთა ხაბარელის სხვადასხვა საიუბილეო თარიღები.

გუშინ შეკრებილმა სპორტულმა საზოგადოებამ სესიის გახსნისთანავე გაიხსენა წლეულს გარდაცვლილი ჩვენი სახელოვანი ათლეტები და სპორტული მოღვაწენი: დავით ციმაკურიძე, თეიმურაზ კაკულია, ომარ ლონლაძე, ივანე ოგანოვი, ივანე ყიფიანი, რომელთა ხსოვნას ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.

რაც შეეხება სეოკ-ის 2006 წლის საქმიანობის ანგარიშს, მისი დაწვრილებითი წაკითხვით დამსწრე საზოგადოება აღარ შეუწუხებიათ, რაკი ყველას ხელთ ჰქონდა სტამბურად გამოცემული, უხვად ილუსტრირებული და დიაგრამებით გამდიდრებული ანგარიში.

რა თქმა უნდა, განვლილი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები იყო, სადაც ჩვენი სამი სპორტსმენი გამოდიოდა — იასონ აბრამიშვილი, ელენე გედევანიშვილი და ვახტანგ მურვანიძე. სესიაზე ქართველ სპორტსმენთა ტურინული გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. იქვე გაიხსენეს სეოკ-ის აღმასკომის დადგენილებიდან ერთი ამონარიდი, რომელშიც ნათქვამია:

„სეოკ-ის აღმასკომს მიაჩნია, რომ ის მდგომარეობა, რომელიც დღეს არსებობს სპორტის ზამთრის სახეობების განვითარების საქმეში, აგრეთვე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და კვალიფიციურ მწვრთნელთა კადრების აღზრდის საკითხებში, არ შეესაბამება საქართველოს დღევანდელ მოთხოვნებს".

განვლილ სეზონში ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა იყო 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბორჯომის მცდელობა. ამასთან დაკავშირებით სეოკ-ის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ამბობს:

„საქართველომ საერთაშორისო დონეზე დააფიქსირა სურვილი და მზადყოფნა, ადრე თუ გვიან უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ის, რომ აპლიკანტმა ბორჯომმა პირველივე ცდაზე ვერ მიიღო კანდიდატი ქალაქის სტატუსი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ტრაგიკულად აღვიქვათ, არ გავაგრძელოთ ძალისხმევა და ამ მიმართულებით არ გადავდგათ შემდგომი ნაბიჯი".

რა თქმა უნდა, გუშინდელ სხდომაზე შეჯამდა საქართველოს სპორტსმენთა წლევანდელი მონაგარი, რომელიც ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მოპოვებულ 3 ოქროს, 6 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალს ითვლის.

საუბარი იყო საპეკინო სამზადისზეც. ითქვა, რომ აქ გადამწყვეტი იქნება მომავალი წელი, როცა ოლიმპიური ლიცენზიების 85 პროცენტს მფლობელი გამოუჩნდება. სავარაუდოდ, საქართველოს სპორტსმენები, საშუალო ალბათობით, 46 ლიცენზიას მოიპოვებენ. ამ საქმეში ჩვენი დამრტყმელი ძალა იქნება ორივე სტილის ჭიდაობა და ძიუდო, სადაც ყველა წონით კატეგორიაში ოლიმპიური ლიცენზიების დაუფლებას ვარაუდობენ. ასევე დიდი იმედი აქვთ ძალოსნების, რომლებიც ხუთ ლიცენზიას უმიზნებენ.

ამ და სხვა მიზნების მისაღწევად უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს ოლიმპიური ფონდი, რომელიც არც მოქმედ სპორტსმენებს ივიწყებს, არც მათ მწვრთნელებს და არც ვეტერან ოლიმპიურ მედალოსნებს, რომლებმაც დახმარებების სახით წლეულს საერთო ჯამში (116 კაცმა) 539 422 ლარი მიიღო. მთლიანობაში ოლიმპიური ფონდის ბიუჯეტი 2 000 000 ლარი იყო, ფაქტობრივად კი სხვადასხვა პროგრამებში 2 329 955 ლარი დაიხარჯა.

მიუხედავად ამისა, ოლიმპიურ მოძრაობაში და სპორტში კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს, რაზეც გუშინდელ სხდომაზეც საკმაოდ ითქვა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



სეოკის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა წლის საუკეთესო სპორტსმენები ზაზა კედელაშვილი და დავით ბედინაძე დააჯილდოვა



ზამთრის სპორტის რჩეულს ელენე გედევანიშვილს ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ მიულოცა

# წელს და წრეს თსუ-ავიამშენი დახურავს



გურამ ფირცხალაიშვილის ფოტოები

ნუგზარ ჭეიშვილი და ვაჟა მხეიძე

დღეს სუპერლიგის მეორე წრის ბოლო ტურია, რის შემდეგაც ეროვნული ჩემპიონატი ზამთრის ძილს მიეცემა და სანამ მესამე წრე დაიწყებოდეს, კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ტურნირები ჩატარდება. მანამდე კარგა გვარიანი დროა, ჩვენ კი დღევანდელი ტურისა ვიკითხოთ — ყველაზე გამორჩეული წყვილი თსუ — „ავიამშენია“. ეს გუნდები მიმდინარე სეზონში რუსთავის „აზოტს“ კი დაეჩაგვრინენ, მაგრამ საჩემპიონო ამბიცია არ აკლიათ და დღეს ვერის ბაღში საკალათბურთო წელი საინტერესო თამაშით უნდა ჩამთავრდეს. პირველ წრეში „ავიატორებმა“ მოულოდნელად დიდი სხვაობით დაამარცხეს სტუდენტები და ნუგზარ ჭეიშვილის გუნდიც რევანშისთვის კბილებს ილესავს. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ საამმატჩო პრესკონფერენცია გაიმართა...

***ვაჟა მხეიძე**, „ავიამშენის“ მწვრთნელი:*

— ამ წლის ბოლო მატჩს ტრავმებით ვხვდებით. კამერუნელი ლეგიონერი პლასიდე როდუმტა ვერ დაგვეხმარება, ტყუპი ბერიშვილებიც ვერ არიან მწყობრში და მათი თამაშიც სათუოა. თსუ-ს ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და მოგებაც ძალიან უნდა, თუმც ჩვენ არაფერს დავთმობთ და შევეცდებით, ისევე როგორც პირველ წრეში, ახლაც გავიმარჯვოთ. ბოლო ხანებში ფინანსური პრობლემები გვქონდა, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდა და იმედია, ეს დამატებითი სტიმული იქნება ჩვენი გუნდისთვის.

***ნუგზარ ჭეიშვილი**, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:*

— წინა წრეში „ავიამშენთან“ რომ წავაგეთ, მაშინ ფორმაში არ ვიყავით. მიუხედავად ამისა, ძნელია თავის მართლება, როცა გამანადგურებელი ანგარიშით მარცხდები. არ მახსოვს, რომ უმაღლეს ლიგაში ჩემი ხელმძღვანელობით გუნდს ასეთი სხვაობით წაეგოს. ახლაც არ გვყავს სრული შემადგენლობა, დავით იმნაძე ტვინის შერყევის გამო გვაკლია, მაგრამ „ავიამშენთან“ მატჩს ყველაფერს შევალევთ.

***ირაკლი ხოშტარია**, „ავიამშენის“ კაპიტანი:*

— მართალია, ახლა არ ვარ ჩემს საუკეთესო ფორმაში, მაგრამ პროგრესი სახეზეა და ვეცდები, კიდევ უფრო მოვუმატო.

ასაკი კი მემატება, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ შემიძლია თამაში და ვეცდები, „ავიამშენს“ მორიგი წარმატებების მოპოვებაში დავეხმარო.

***შიო ხეცურიანი**, თსუ-ს კაპიტანი:*

— იმედია, მობილიზებას მოვახერხებთ და წინა მატჩში განცდილი მარცხისთვის შურს ვიძიებთ. ვფიქრობ, თსუ-სთვის ეს შეხვედრა ამ სეზონში ყველაზე პრინციპულია და ამით ყველაფერია ნათქვამი.

**ირაკლი პერტაია**



გამოვიდა ცნობილი სპორტული ჟურნალისტისა და კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის გარუნ აკოფოვის ენციკლოპედიური ცნობარი „ქართული კალათბურთი“.

წიგნში მკითხველი გაეცნობა ქართული კალათბურთის 80-წლიან ისტორიას გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დღევანდლობამდე.

უხვი სტატისტიკური მასალა, ფოტოები, დეტალური ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომამდელი ქართული კალათბურთის და შემდეგ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონატების, საქართველოს ნაკრებისა და ქართული გუნდების საერთაშორისო მატჩების შესახებ — ყოველივე ეს და კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ინფორმაცია გარუნ აკოფის ენციკლოპედიურ ცნობარს ქართული კალათბურთის ქომაგთა სამაგიდო წიგნად აქცევს.

## ევროლიგა

Euroleague

### პირველი ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 20-21 დეკემბერი

#### A ჯგუფი

**დინამო 90:83 ეფესი**

დინამოდინამო 78:82 ტაუ

დინამო: ეკეზე (16), პოპოვიჩი (14)

ტაუ: სკოლა (24), ერდოგანი (20)

**ეფესი 91:76 რეინი**

ეფესი: ჰაისლიპი (33 ქულა, 10 მოხსნა), ნიკოლასი (24)

რეინი: ბარელი (23), მალეტი (21)

**ოლიმპიაკოსი 94:67 კლიმამიო**

ოლიმპიაკოსი: აკერი (18), ბუდურისი (14)

კლიმამიო: ბელინენი (21), იდნი (16)

**ლე მანი 73:84 პროკომი**

ლე მანი: კემპბელი (13), ბოკოლო (11)

პროკომი: ბეშოქი (18), დალმა (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 9 | 8 | 1 | +69 | 17 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 7 | 2 | +70 | 16 |
| ეფესი | 9 | 5 | 4 | +35 | 14 |
| დინამო | 9 | 5 | 4 | +6 | 14 |
| პროკომი | 9 | 4 | 5 | -5 | 13 |
| ლე მანი | 9 | 3 | 6 | -24 | 12 |
| კლიმამიო | 9 | 2 | 7 | -64 | 11 |
| რეინი | 9 | 2 | 7 | -87 | 11 |

#### B ჯგუფი

**ციბონა 75:78 პანათინაიკოსი**

ციბონა: ურენი (18), რაიტი (12)

პანათინაიკოსი: ბატისტე (18), ცარცარისი (17)

**მაკაბი 85:83 პარტიზანი**

მაკაბი: შარპი (22), უიჩიჩი (15)

პარტიზანი: დრობნიაკი (23), ტრიპკოჩი (20)

**რომა 82:74 ოლიმპია**

რომა: მავროკეფალიდისი (16), ჰოკინსი (15)

ოლიმპია: მილიჩი (21), მარკოიშვილი (19 წუთი, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**ხუვენტუდი 105:52 უნიკახა**

ხუვენტუდი: გეინესი (18), არჩიბალდი (17)

უნიკახა: როდრიგესი (15), ველში (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 9 | 9 | 0 | +95 | 18 |
| მაკაბი | 9 | 6 | 3 | +57 | 15 |
| ხუვენტუდი | 9 | 5 | 4 | +66 | 14 |
| ციბონა | 9 | 4 | 5 | -11 | 13 |
| პარტიზანი | 9 | 4 | 5 | -22 | 13 |
| რომა | 9 | 3 | 6 | -46 | 12 |
| უნიკახა | 9 | 3 | 6 | -74 | 12 |
| ოლიმპია | 9 | 2 | 7 | -65 | 11 |

#### C ჯგუფი

**ნაპოლი 92:87 ჟალგირისი**

ნაპოლი: ელისი (32 წუთი, 18 ქულა, 4 მოხსნა, 8 პასი, 3 ჩაჭრა)

ჟალგირისი: ბერდი (26), მოტოლა (16)

**არისი 62:65 ცსკა**

არისი: სკეილსი (17), ბილკინსონი (11)

ცსკა: სავრასენკო (14), ლანგდონი (13)

**ბენეტონი 68:67 ბარსელონა**

ბენეტონი: ზისისი (21), მორდენტე (17)

ბარსელონა: ბაზილე (19), ლაკოვიჩი (13)

**პო ორტეზი 89:67 ფენერბაჰჩე**

პო ორტეზი: იონსენი (22), რაიტი (19)

ფენერბაჰჩე: ონანი (13), კამბალა (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 8 | 1 | +95 | 17 |
| ბარსელონა | 9 | 7 | 2 | +60 | 16 |
| ბენეტონი | 9 | 6 | 3 | +34 | 15 |
| პო ორტეზი | 9 | 5 | 4 | +7 | 14 |
| არისი | 9 | 4 | 5 | -22 | 13 |
| ნაპოლი | 9 | 3 | 6 | -62 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 2 | 7 | 58 | 11 |
| ჟალგირისი | 9 | 1 | 8 | -55 | 10 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეტროიტელი ჩონსი ბილაფსი კლივლენდელ ერიკ სნოუს დაუსხლტა

# ჩონსიმ ლებრონს ცხენი მოუკლა

21 დეკემბერი

**კლივლენდი 71:87 დეტროიტი**

კლივლენდი: ჯეიმსი (26 ქულა, 10 მოხსნა), ილგაუსკასი (16), ჰიუზი (12)

დეტროიტი: ბილაფსი (17 ქულა, 10 პასი), პრინსი (16), მაკდაიესი (11 ქულა, 11 მოხსნა)

**საკრამენტო 119:126 ვაშინგტონი**

საკრამენტო: მარტინი (40), სალმონსი (23), მილერი (19)

ვაშინგტონი: ჯემისონი (33 ქულა, 13 მოხსნა), არენასი (30), ბატლერი (23 ქულა, 10 მოხსნა)

ლებრონ ჯეიმსსა და მის „კავალერიას“ პირველად მიეცათ შანსი, ამ გაზაფხულს პლეი ოფში „დეტროიტთან“ მარცხისთვის შური ეძიათ, თანაც მეტოქეს და მეზობელს სახლში ილებდნენ. კლივლენდში ნაკლებად უყვართ დეტროიტელები, რაკილა საკალათბურთო სამყაროს უჩინარ გამგებელს ამ მეორეთათვის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრავლად უბოძებია ვარსკვლავები, რომელთაც თავის მხრივ ავტოქალაქს 3 საჩემპიონო ტიტული მოუტანეს. საკალათბურთო მასშტაბით პროვინციულ კლივლენდში კი ისეთს ბევრს არავის უთამაშია, კლუბს დიდებში და ჩემპიონებში რომ ალაზევებდა. „კავალიერზს“ ლებრონ ჯეიმსზე უკეთესი არავინ ჰყოლია. ამ ნაადრევად დაკაცებულ ჭაბუკ ვარსკვლავთან ერთად „კლივლენდი“ საშუალოზე უკეთესი გუნდია, მაგრამ ძლიერებში გარევაზე კი ჯერ რა მოგახსენოთ.

გუშინწინ „კავალერიას“ „პისტონზის“ დამარცხების რეალური შანსი ჰქონდა, 20 ათასი მაყურებლის დაუზარელი და დაუნანებელი შეძახილებით გამხნევებულები ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ 2 ქულით აგებდნენ და უკანასკნელი 12-წუთიანი იერიშისთვის რომ აგულიანებდნენ ერთმანეთს, მტრის ჯარის წინამძღოლმა სწორედ მაშინ დაუხვედრა შუბი მათ ცხენებს.

„დეტროიტის“ გამთამაშებელ ჩონსი ბილაფსს პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ხეირიანი თითქმის არაფერი გაუკეთებია, პირიქით, უფრო აფუჭებდა, რაკი თამაშიდან 9 სროლიდან 8 გაანიავა და 3 პერიოდში 5 ქულა იკმარა, მაგრამ ჩონსი გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებისთანავე გადაირია, 2 სამქულიანი და ერთიც ორიანი ჩააგდო, პირველ სამ წუთში 14:3 „გააქცია“ თავისი გუნდი და სტუმრები 71:58 რომ დაწინაურდნენ, ცხადი გახდა, მატჩის სადავეებს ხელიდან აღარ გაუშვებდნენ. ასე რომ, „კავალერიას“ ჯავრი გულში დარჩა, „დეტროიტმა“ კი ამ გამარჯვებით აღმოსავლეთში ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა.

დღის მეორე შეხვედრა პირველზე გაცილებით უხვქულიანი გამოდგა. ბოლო ხანებში თამაშის იმტაზე მოსულმა „ვაშინგტონ ვიზარდსმა“ „საკრამენტო კინგზს“ 119 ქულის გაკეთების უფლება მისცა, მაგრამ, სამაგიეროდ, თავად 126 ჩააგდო და ბოლო 5 შეხვედრაში მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა. საზოგადოდ, უკანასკნელ 9 თამაშში დედაქალაქელები ქულების ბარაქიანად ხვეტას დაეჩვივნენ. 106 ქულაზე ნაკლები ერთხელაც არ ჩაუგდიათ და მათგან 7 მოიგეს. ახლა „საკრამენტოს“ საუკეთესო დამცველი რონ არტესტი არ ჰყავდა, მაგრამ რომც ჰყოლოდა, საეჭვოა, ჯილბერტ არენასისა და მისი გუნდისთვის რამე მოეხერხებინა. „ვაშინგტონმა“ პირველი ტაიმის 53:59 წაგების შემდეგ მესამე მეოთხედში მასპინძლებს 44 ქულა დაატეხა თავს და იქვე გადაწყვიტა მატჩის ბედი.

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორბოლა

# საოცნებო საფორმულო საჩუქარი



**23 წლის** გერმანელმა ავტომრბოლმა ედრიან სუტილმა ისეთი საშობაო საჩუქარი მიიღო, უკეთესს ვერც ინატრებდა: საპირველფორმულო გუნდის „სპაიკერ-რეისინგის" (ყოფილი „მიდლენდი") ხელმძღვანელობამ იაპონური ფორმულა 3-ის ჩემპიონს ტოპ-პილოტის კონტრაქტი გაუფორმა.

ასე რომ, საგაისო სეზონში „სპაიკერისთვის" პორტუგალიელ ტიაგო მონტეიროს ნაცვლად, საჯინიბოს მანამდელი მეტესტე სუტილი ირბოლებს: „ეს ჩემს ცხოვრებაში მართლაც განსაკუთრებული დღეა. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ სავსებით კმაყოფილი ვიყავი, რომ მომავალ წელსაც ტესტ-მძღოლად დავრჩებოდი და როცა ძირითადი ბოლიდის საჭესთან დაჯდომის შანსი გამიჩნდა, ძალიანაც დიდ იმედებს არ ვამყარებდი, რათა კონტრაქტის ჩაშლის შემთხვევაში გული არ დამწყვეტოდა. მაგრამ ახლა უკვე ყველა ფორმალობა უკან დარჩა, მე „სამეფო რბოლების" პილოტი ვარ და ყველაფერს ვილონებ ამ საოცნებო სტატუსის ღირსეულად გასამართლებლად."

ედრიანის მამა, წარმოშობით ურუგვაელი, მუსიკოსი იყო და სურდა, შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა. ამდენად მომავალი მეფორმულე 14 წლამდე ფორტეპიანოზე ვარჯიშობდა, მაგრამ, როგორც თავად იხსენებს, კარტინგის გაცნობის შემდეგ, ძრავის ხმაური მისთვის ერთადერთი სასურველი მუსიკა გახდა.

ამრიგად, 2007 წლის საფორმულო სეზონის კიდევ ერთი ვაკანსია შეივსო და 11 გუნდიდან მხოლოდ „სკუდერია ტორო როსოს" დუეტი დარჩა დასაზუსტებელი.

**გია ახალაძე**

რაგბი

# ინგლისი ძალით გაშვებულის მარჯვენა ხელს ჩაბარდა

## მოხუცმა ეშტონმა გამხმარი ვარდი უნდა გააცოცხლოს

**ინგლისის** რაგბის კავშირმა ვადამდე გაუუქმა კონტრაქტი „ვარდების" დამღუპველ მწვრთნელ ენდი რობინსონს და სრულიად ინგლისის სიამაყე მოხუც ბრაიან ეშტონს ჩააბარა.

ინგლისი 2003 წლის მსოფლიოს და მოქმედი ჩემპიონი კია, მაგრამ რაც მათი გამჩემპიონებელი გურუ სერ კლაივ ვუდვორდი თავისი ნებით წავიდა და როდესაც ნაკრები რობინსონმა ჩაიბარა, „ვარდები" მთლად გავერანდნენ.

რობინსონის მწვრთნელობით ინგლისელებმა ბოლო ცხრა ტესტიდან რვა წააგეს. ამასთან რაგბის მექა „თვიქენემზე", მოძულე არგენტინასთან საკუთარი ქომაგის თვალწინ განადგურდნენ. რობინსონი კი ისე გაჯიუტდა, გადადგომის განცხადებას მისგან რომ ვერ ეღირსა, რაგბის კავშირის გამგებელმა რობ ენდრიუმ ძალით გაუშვა.

რობინსონის შემცვლელად თავიდან ცბიერი ავსტრალიელი ენდი ჯონსი და სამხრეთაფრიკელი ნიკ მალეთი განიხილებოდნენ, მაგრამ მათ უცხო ქვეყანაში სანაკრებო ჯახირს ისევ შინ საკლუბო, კერძოდ კი, ზე-14-ში ფუსფუსი ამჯობინეს.

ბოლოს არჩევანი 60 წლის ინგლისელ ბრაიან ეშტონზე შეჩერდა, ვინც ჯეელობაში შერკინების გამთამაშებლად რაგბობდა შინ, საფრანგეთსა და იტალიაში.

ეშტონმა მწვრთნელობა 17 წლის წინ, იმ დროისთვის უძლიერეს ინგლისურ კლუბ „ბასში" დაიწყო. 1996 წელს ეშტონი ექვსი წლით დაინიშნა ირლანდიის ნაკრების გურუდ, მაგრამ ორ არასრულ სეზონში ცხრა ტესტიდან მხოლოდ ორი მოიგო, იმხანად ახალწამოჩიტულ იტალიასთან კი ორჯერ წააგო და გაგანია ხუთ ერისას შუა გზაზე გაეცალა კელტებს, აქაოდა, ვერ შეგეწყვეთო.

მერე ეშტონი თვით კლაივ ვუდვორდის თანაშემწედ მუშაობდა, ბასში სარაგბო აკადემია ებარა და ბოლოს გადაყენებული რობინსონის მარჯვენა ხელიც იყო.



**ბაჩო სვანიძე**

ჭადრაკი

# კრამნიკმა ტოპალოვს სალამი დაუმალა

**მსოფლიოს** ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკის მენეჯერი კარსტენ ჰენზელი ვესელინ ტოპალოვს ფიდეში უჩივის. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ესპანურ გაზეთ ABC-სთან ინტერვიუში მსოფლიოს ექსჩემპიონი ელისტაში გამართულ მატჩს შეეხო და კრამნიკი მთელ რუსეთთან ერთად ზეწოლაში დაადანაშაულა.

„ტოპალოვმა ფიდეს ეთიკური კოდექსი დაარღვია. ჩვენ უკვე შევიტანეთ სარჩელი და, ვფიქრობ, ამის პატიება არ შეიძლება. თუ გავიმარჯვებთ, მას სამი წლით აეკრძალება ტურნირებზე გამოსვლა — განაცხადა ჰენზელმა — ტოპალოვს დიდი ხანია ვიცნობ და პატივსაც ვცემდი, მაგრამ ახლა რომ შემხვდეს, ალბათ გამარჯობასაც არ ვეტყვი."

ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვის მრჩეველ ბერიკ ბალგაბაევს მიაჩნია, რომ მხარეები მოითათბირებენ და ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება.

„მგონია, რომ ტოპალოვს ესპანური გაზეთისთვის არავითარი ინტერვიუ არ მიუცია და ეს მის მენეჯერ სილვიო დანაილოვის ოინებია — განაცხადა ბალგაბაევმა — ელისტაში კი საკმაოდ დაძაბული მატჩი ჩატარდა, თუმც ზეწოლა და დაშინებები არ ყოფილა.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ორგანიზაციით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა."

**ლაშა გეგეჭკორი**

# დღეს პრეზიდენტს აირჩევენ

**დღეს** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია. კანდიდატი ექვსია: ვახტანგ ბოჭორაძე, თამარ ხმიადაშვილი, კახი შალამბერიძე, აკაკი იაშვილი, რომან სიჭინავა და ნოდარ გელენავა.

თავიდან პრეზიდენტობის მსურველი რვა იყო, თუმც ორმა — ზურაბ აზმაიფარაშვილმა და დავით კალმახელიძემ — კანდიდატურა მოხსნა.

არჩევნებამდე კანდიდატები დელეგატებს თავიანთ პროგრამას წარუდგენენ და კენჭისყრაც მას შემდეგ დაიწყება.

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი



მარიო ლემიე პიტსბურგში გუნდს ვეღარ ინარჩუნებს

21 დეკემბერი

**ატლანტა 4:3 პიტსბურგი**
*1:0 2:1 0:2 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 კაპანენი (2), 2:0 კოვალჩუკი (27), 2:1 სტაალი (37), 3:1 კოზლოვი (39), 3:2 მელოუნი (45), 3:3 კროსბი (60),

**ბოსტონი 2:0 ვანკუვერი**
*2:0 0:0 0:0*
1:0 ბერჟერონი (4), 2:0 მიურეი (13)

**მონრეალი 4:2 ფილადელფია**
*2:0 1:2 1:0*
1:0 ლატანდრესი (17), 2:0 რივე (18), 2:1 კნუბლი (26), 3:1 ჯონსონი (40), 3:2 კარტერი (40), 4:2 ჰიგინსი (54)

**ოტავა 2:4 ტამპა**
*0:0 2:1 0:3*
1:0 ჰითლი (23), 1:1 სენ ლუი (26), 2:1 ვერმეტი (34), 2:2 ფედოტენკო (44), 2:3 რეინჯერი (49), 2:4 ლეკავალიე (60)

**ფლორიდა 3:2 რეინჯერსი**
*0:1 0:1 3:0*
0:1 იზბისტერი (20), 0:2 უარდი (25), 1:2 გრეტონი (44), 2:2 ჰორტონი (44), 3:2 ოლეში (52)

**ნეშვილი 2:7 ბუფალო**
*1:2 0:3 1:2*
0:1 კოტალიკი (1), 0:2 პომინვილი (6), 1:2 ერატი (9), 1:3 ლიუდმანი (26), 1:4 აფინოგენოვი (36), 1:5 აფინოგენოვი (38), 2:5 არნოტი (44), 2:6 კოტალიკი (58), 2:7 პომინვილი (58)

**სენტ ლუისი 5:2 ლოს ანჯელესი**
*1:0 2:0 2:2*
1:0 ბეიკსი (11), 2:0 სტემპნიაკი (27), 3:0 რუჩინსკი (32), 3:1 კოპიტარი (42), 3:2 არმსტრონგი (44), 4:2 მაკლემენტი (50), 5:2 ჯეკმენი (60)

**ფინიქსი 2:3 ედმონტონი**
*0:1 1:1 1:1*
0:1 სტოლი (20), 0:2 ჰენსკი (28), 1:2 ნოლანი (31), 2:2 პერო (44), 2:3 სიკორა (59)

**სან ხოსე 0:3 დალასი**
*0:1 0:1 0:1*
0:1 ჰელპერნი (7), 0:2 იოკინენი (27), 0:3 მოროუ (53)

**კოლორადო — კალგარი**
გადაიდო

# პიტსბურგი პინგვინებს კარგავს

**„პიტსბურგ პინგვინსი"** დღესდღეობით ლიგის ყველაზე პერსპექტიული გუნდია, რომელიც 2-3 წელიწადში ფავორიტთა მარაქაში უეჭველად გაერევა. თუმც, ასეთი ნათელი მომავლის მიუხედავად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ქალაქი გუნდს მაინც დაკარგავს. კლუბის მფლობელმა, ლეგენადრულმა მარიო ლემიემ გუშინ განაცხადა, რომ მზად არის, განიხილოს გუნდის სხვა ქალაქში გადასვლის შესაძლებლობები. „სუპერმარიომ" ყველაფერი გააკეთა, რომ პიტსბურგი ნჰლ-ის გარეშე არ დარჩენილიყო, მაგრამ თავად ქალაქის თავკაცობამ ხელიც არ განძრია გუნდის შესანარჩუნებლად. არადა, ამისთვის მხოლოდ "პინგვინებითსვის" ახალი სტადიონისთვის ადგილი უნდა გამოეყოთ და მის აშენებაში მიეღოთ მონაწილეობა. თუმც ქალაქის მერია არანაირ დათმობაზე არ წავიდა და ახლა თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ანტარქტიდის ბინადრები სეზონის ბოლომდე ადგილსამყოფელს შეიცვლიან.

ამასობაში კი თვითონ "პიტსბურგის" ახალგაზრდობა პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის — ამჯერად ატლანტაში ბოლომდე იომეს და სიდნი კროსბის მიერ უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლით ქულაც მოიპოვეს. "პინგვინებს" გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ ბულიტებში გაუვალი აღმოჩნდა ჯორჯიელთა ახალგაზრდა მეკარე კარი ლეჰტონენი, ხოლო სლავა კოზლოვმა და მარიან ჰოსამ უშეცდომოდ შეასრულეს საჯარიმო დარტყმები.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ახლად დაფრთიანებული „პინგვინის", 18 წლის ჯორდან სტაალის თამაშიც, რომელსაც უმცირესობაში გოლების გატანა ეხერხება — კანადელს უკვე ხუთი ასეთი შაიბა დაუგროვდა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

"ბუფალოს" გამარჯვებით დასრულდა ლიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდების ჯახი — ნეშვილში „ხმლებმა" ნაკუწ-ნაკუწ აქნეს „მტაცებლები" და ეს უპირველესად ზესწრაფი თამაშის ხარჯზე მოახერხეს. სტუმართაგან მაქსიმ აფინოგენოვი და ალეშ კოტალიკი დუბლებით გამოირჩნენ.

მშვენიერ ფორმაშია „მონრეალი", რომელმაც ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა. "ფილადელფიის" ანტირეკორდულმა წაგებათა სერიამ კი რვას მიუკაკუნა. „კანადელთა" სათადარიგო კარის დარაჯ დევიდ ებიშერისთვის ეს მეასე ნჰლ-ური გამარჯვება გამოდგა.

უცნაურად იმარჯვა „ბოსტონმა" — მეორე და მესამე პერიოდში გუნდმა სულ ექვსჯერ დაარტყა "ვანკუვერის" კარის მიმართულებით, მაგრამ საწყის წუთებში პატრის ბერჟერონისა და გლენ მიურეის გატანილი გოლებისა და გოლკიპერ ტიმ ტომასის შეუდარებელი თამაშის წყალობით „დათვებმა" მაინც ორი ქულა მოიპოვეს.

**კახა ლომაშვილი**

# შევსება




AFP ამსტერდამიდან

მადამ ტუსოს მუზეუმის ამსტერდამის ფილიალში ახალი ფეხბურთელები გამოჩნდნენ. რონალდინიო იცინის, ფრენკ დე ბური კი ძალიან ჰგავს თავის ძმას, რონალდ დე ბურს. უკან ნაკრების ფორმაში გამოწყობილი ძველი ბექემი დგას.




AFP სინგაპურიდან

# სინგაპური გასპორტდა

სინგაპურელი გოგონები ვარჯიშისგან ისვენებენ. ამ მდიდარ ქალაქ-სახელმწიფოში ნამდვილი სპორტის, კერძოდ კი, ტანვარჯიშის ბუმია. ამასწინანდელ აზიურ თამაშებზე სინგაპურელთა წარმატებამ ქვეყანა სპორტით აანთო.



AFP ლოზანიდან

# ძველი პილოტის დალუპვა

ავტოკატასტროფაში დალუპული ძველი ავტომრბოლელის, შვეიცარიელი კლეი რეგაცონის კუბო ეკლესიიდან გამოაქვთ. რეგაცონი 70-იან წლებში ფორმულა 1-ის ცნობილი პილოტი იყო და ლოზანის დიდი პრიზიც მოუგია; 1974 წელს ჩემპიონობასთანაც ახლოს იყო — მხოლოდ ემერსონ ფიტეპალდიმ აჯობა. გარდაცვლილი 67 წლისა იყო და პარმასთან ახლოს, ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა. გამოსვენებაზე ბევრმა ძველმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი. იქ იყო იტალიელი არტუსიო ფრანჩესკო მარძარიო და ნიკი ლაუდიც, რომელიც გარდაცვლილის ვაჟ ჟან-მარიასთან ერთად აღბეჭდეს ფოტოზე.





AFP ლოზანიდან

# წამოაქცია




AFP გრინ ბეიდან

შეჩერებაც ასეთი უნდა. ძველ დროს მაისურა დაიხეოდა და კაცი ეგებ გაქცეულიყო კიდეც. მინესოტელი ბენ ლებერი (51) გრინბეელ ბრეტ ფავს აჩერებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge